პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 103 (13497) | შაბათი, 7 მაისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ამხანაგო ამომრჩევლებო!

კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით, თქვენ ხმას აძლევთ ჩვენს XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებას, ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით წინ კომუნიზმის გამარჯვებისათვის!

მ ი მ ა რ თ ვ ა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

ყველა ამომრჩეველს—მუშებს, გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის მოქალაქენო!

1966 წლის 12 ივნისს თქვენ უნდა შეასრულოთ მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობა — აირჩიოთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ეგებება უპარტიოებან ურღვევი ბლოკით, მჭიდრო კავშირით.

წელს საარჩევნო კამპანია ეწყობა მშრომელი მასების დიდი პოლიტიკური აღმავლობის, დიდი შემოქმედებითი აქტივობის ვითარებაში, რაც გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა.

სკკპ XXIII ყრილობამ ლენინური პრინციპულობით და საქმიანად განიხილა ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემები, განსაზღვრა პარტიის უახლოესი წლების ამოცანები. კომუნისტებმა, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელმა ერთსულოვნად მოიწონეს ყრილობის გადაწყვეტილებანი და აჩაღებენ თავდადებულ ბრძოლას მათი განხორციელებისათვის.

დღეს ჩვენი სამშობლო მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული სახელმწიფოა. ეს არის ყველაზე წინავე საზოგადოებრივი წყობილების ქვეყანა, სადაც არის ექსპლოატატორთა კლასები, სოციალური დაპირისპირების ჩაგვრა. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ოქტომბრის ისტორიაში პირველად ააშენეს სოციალიზმი და ახლა წყვეტენ კომუნისტური საზოგადოების შექმნის ამოცანებს.

თავიდან რომ ავლენენ განვლილ გზას, საბჭოთა ადამიანები კანონიერად ამაყობენ იმ უდიდესი წარმატებებით, რომლებიც ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ მოიტანა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ადვილი როდი იყო ჩვენი გზა. გვახსოვს ის დრო, როდესაც მსოფლიო რეაქციის გაერთიანებული ძალები ცდიდნენ სამხედრო ინტერვენციისა და სისხლიანი ტერორის, პოლიტიკური და ეკონომიური ბლოკადის გზით ჩაეხრჩოთ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო. მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი გაერთიანდა კომუნისტური პარტიის გარშემო, მოიკრიბა მთელი თავისი ძალღონე, დაამარცხა იმპერიალისტთა შემოსევა, დაძლია უდიდესი სიძნელენი და დაიწყო სოციალიზმის მშენებლობა. საბჭოთა ადამიანები იკლებდნენ საჭმელ-სასმელს, იტანდნენ ტანჯვებას, ზოგავდნენ ყოველ მანეთს და ახმარდნენ ქვეყანას ჩვენი პირველი ელექტროსადგურების, ქარხნებისა და ფაბრიკების მშენებლობას. მაშინ კაპიტალისტური სამყარო ღვარძლიანად დასცინოდა საბჭოთა ადამიანებს, ეგონა, რომ სოციალიზმის აშენების გეგმები ჩაიფუშებოდა.

როცა საბჭოთა ქვეყანა გამარჯვების გზით მიდიოდა თავისი დიადი მიზნისაკენ, იმპერიალისტებმა თავს დაგროვეს თავიანთ ფეხთამდე შეიარაღებული ფაშისტური ურდოები, რომლებიც შემოიჭრნენ ჩვენს ქვეყანაში, ხოცავდნენ ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს, წვავდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ანგრევდნენ ყველაფერს, რაც ასეთი შრომით შეექმნა ხალხს. კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი არ შედრკნენ ძმიმე განსაცდელის უამს, მთელი ძალღონე მოიკრიბეს და გაანადგურეს აგრესორი.

ჭეშმარიტად უშრეტია ხალხისა და კომუნისტური პარტიის ძალები, რომლებმაც შეძლეს დაეძლიათ ყველა სიძნელე, აღედგინათ სახალხო მეურნეობა და ჩვენი ქვეყანა ინდუსტრიული ძლიერების მწვერვალებზე აეყვანათ, გამოეყვანათ იგი მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე პოზიციებზე. ამ ძალების წყაროა ჩვენი სოციალისტური წყობილება, საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის ურღვევი ერთობა, საბჭოთა ადამიანების ერთგულება კომუნიზმის იდეებისადმი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მიმართავს რა დღეს საბჭოთა ხალხს, თავის მოვალეობად მიაჩნია მოახსენოს, თუ რა გაკეთდა ჩვენს ქვეყანაში განვლილ ოთხ წელიწადში, ესე იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ, და მოუთხროს მომავლის გეგმები, ის თუ რა უნდა გავაკეთოთ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის, ხალხის ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა ადამიანები არჩევნებზე წავლენ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა დროშით. კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებს შვიდწლედის შედეგები და ახალი ხუთწლიანი გეგმის პერსპექტივები. ხუთწლედების მაღალ საფეხურებზე რომ ადის, ჩვენი ქვეყანა განუხრელად მიიწევს კომუნიზმის მწვერვალებისაკენ, სულ უფრო ძლიერდება და მშვენდება. მსოფლიოს ხალხები სულ უფრო ღრმად რწმუნდებიან, თუ რა უპირატესობა აქვს სოციალისტურ სისტემას კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

ამხანაგო მუშებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ჩვენი ქვეყანა სოციალისტური მრეწველობის განვითარების დიდი წარმატებებით ეგებება. საბჭოთა კავშირს მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობით და მთელი მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის თითქმის მეხუთედს უშვებს.

შვიდწლედის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა 84 პროცენტით გაიზარდა, თითქმის გაორკეცდა სახალხო მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდები; მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი 53 პროცენტით გაიზარდა. მარტო წინა არჩევნების შემდეგ განვლილ წლებში აშენდა და ამოქმედდა 2.500-ზე მეტი თანამედროვე მსხვილი სამრეწველო საწარმო.

იზრდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. 1965 წელს საბჭოთა კავშირში გამომუშავებულია ცხრა მილიარდზე მეტი გრძივი მეტრი ქსოვილები, 486 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი. მნიშვნელოვნად გადიდდა რადიომიმღებების, ტელევიზორების, მაცივრების, სარეცხი მანქანების, მოტოციკლებისა და სხვა საქონლის წარმოება. ეს მიღწევები რეალურად იგრძნობა ჩვენს ცხოვრებაში, ყოფაში. მიღწეული წარმატებანი მუშათა კლასის, ინჟინრებისა და ტექნიკოსების, მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ყველა მუშაკის დაძაბული შრომის შედეგია.

პარტიამ თავის ყრილობაზე აღნიშნა, არა მარტო მიღწევები, არამედ არც ნაკლოვანებანი და სიძნელენი დაუმალავს ხალხისათვის. ამ ბოლო წლებში რამდენადმე შენელდა სამრეწველო წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები, შემცირდა ძირითადი ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების ეფექტიანობა. მთლიანად ვერ შესრულდა მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარების დავალებანი.

1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომლებსაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მთელმა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა, ხელსაყრელ პირობებს ქმნიან ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. სკკპ XXIII ყრილობის ხუთწლიანი გეგმის დირექტივები მოასწავებენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის დიდმნიშვნელოვან ეტაპს. ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ყოველი ღონისძიებით გამოყენების, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ინდუსტრიული განვითარების, მისი ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე უზრუნველყოთ მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა, სოფლის მეურნეობის განვითარების სწრაფი მყარი ტემპები და ამის შედეგად მივაღწიოთ ხალხის ცხოვრების დონის არსებით ამაღლებას.

ხუთწლეულის მანძილზე უნდა ავაშენოთ ასობით ქარხანა და ფაბრიკა, შახტი და ელექტროსადგური. ფართოვდება მრეწველობის იმ საწარმოთა მშენებლობა, რომლებიც ამზადებენ საქონელს მოსახლეობისათვის, რასაც თითქმის ერთიორად მეტი სახსრები მოხმარდება, ვიდრე წინა ხუთ წელიწადში.

აშენდება ახალი ქალაქები და დაბები, ახალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, სამავშვო ბაგები და ბაღები, კლუბები, ბიბლიოთეკები, სასპორტო ნაგებობანი, პოლიკლინიკები და საავადმყოფოები.

პარტია მოგიწოდებთ თქვენ, მუშებს, მშენებლებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, განუხრელად გააუმჯობესოთ საწარმოთა საწარმოო საქმიანობა, აამაღლოთ ეკონომიური მაჩვენებლები, გაზარდოთ შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. უფრო ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა ეკონომიკის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის! განავითარეთ შემოქმედებითი ინიციატივა, უფრო სრულად გამოიყენეთ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები, მატერიალური და მორალური სტიმულები! იბრძოლეთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის!

თანამედროვე ინდუსტრიის შექმნაში, სოციალისტური მრეწველობის ძლიერების განმტკიცებაში ჩვენმა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჰეშმარიტად ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვა. ვინც ესწრაფვის იმას, რომ ჩვენი სოციალისტური მრეწველობა კვლავაც წარმატებით ვითარდებოდეს, რომ საბჭოთა ეკონომიკა განუხრელად მიდიოდეს ტექნიკური პროგრესის გზით და უზრუნველყოფდეს ჩვენს ქვეყანას მაღალხარისხოვანი, თანამედროვე სამრეწველო პროდუქციით, იგი ხმას მისცემს კომუნისტთა პარტიის პოლიტიკასა, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ამხანაგო ბლეხებო!

კომუნისტური პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. ეს არის კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, აგრონომებისა და ზოოტექნიკოსების, ინჟინერ-მექანიზატორების უზარმაზარი შრომის ნაყოფი. მაგრამ თქვენ აგრეთვე იცით, რომ მთლიანად ვერ შესრულდა შვიდწლიანი გეგმის დავალება სოფლის მეურნეობის დარგში.

მარტის (1965 წლის) პლენუმზე, რომლის გადაწყვეტილებანი მთლიანად მოიწონა სკკპ XXIII ყრილობამ, პარტიამ შეიმუშავა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი. მტკიცდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. იზრდება სოფლის მშრომელთა დაინტერესება თავიანთი შრომის შედეგებით. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის მყარი გეგმები მთელი ხუთწლეულისათვის, გაიზარდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ბევრი პროდუქტის შესასყიდი ფასები, შემცირდა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქების, სოფლისათვის საჭირო ელექტროენერგიის ფასები.

ყოველივე ეს უკვე იძლევა თავის შედეგებს. მიუხედავად გვალვისა, რომელიც შარშან ბევრ რაიონში იყო, სოფლის მეურნეობამ მოგვცა მეტი პროდუქცია, ვიდრე რომელიმე წინა წელს. გაუმჯობესდა მდგომარეობა მეცხოველეობაში. გაიზარდა კოლმეურნეობების შემოსავალი.

რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რათა წლითიწლობით სულ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ადამიანების მზარდი მოთხოვნილებანი კვების პროდუქტებზე, ხოლო მრეწველობისა—სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე. რა არის ამისათვის საჭირო? უწინარეს ყოვლისა, მიმდინარე ხუთწლედში მივაღწიოთ უხვ მყარ მოსავალს, ბეჯითად ვზრდოთ მიწის ნაყოფიერება ჩვენი ქვეყნის ყველა ზონაში, ავამაღლოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია, დაახლოებით ერთიორად გადიდდეს კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში, წინა ხუთწლედთან შედარებით სოფელს მიეცეს მეტი: ტრაქტორი—700 ათასი, სატვირთო ავტომანქანა—680 ათასი ცალი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები — 4 მილიარდი მანეთისა. 1970 წლისათვის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები 1965 წელთან შედარებით მიიღებენ ორჯერ მეტ მინერალურ სასუქებს. განხორციელდება მელიორაციის ფართო პროგრამა.

ყოველივე, რასაც სახელმწიფო აძლევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ყაირათიანად უნდა იქნეს გამოყენებული.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

დაიწყო საარჩევნო კამპანიის ახალი ეტაპი. კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატთა რეგისტრაცია ამომწურავობს დიდი პატრიოტული აღმავლობის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთსულოვანი მრავალეროვანი ოჯახის ერთობის, მშრომელური ლენინური პარტიისა და საბჭოთა ხალხთა ურღვევი ერთობის ნაყოფია.

ნ ბაისს ბაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბიულეტენი ბაქოს ტერიტორიულ საარჩევნო okრუგში № 162 საარჩევნო okრუგის საარჩევნო კომისიის სხდომა. ამ okრუგში დათანხმდა კენჭი იყაროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბასილ პავლეს-ძე მჟავანაძემ.

სხდომა გახსნა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის თბილისის okრუგანიზაციის ბიუროს პირველმა მდივანმა ბ. ბარსუოვმა. მან თქვა, რომ okრუგის ამომრჩეველნი ერთხმად ურჩევენ ბ. ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძეს, რომ okრუგის ამომრჩეველნი ერთხმად შეხვდნენ ცნობას, რომ ბ. ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე თანახმაა კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე okრუგის საარჩევნო okრუგში.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლ. ლომიძემ განაცხადა:

— ხალხის რჩეულთა რიცხვში კვლავ დაბრუნებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. მჟავანაძის კანდიდატურა. დიდი სიამაყეთ შევიტყეთ, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს ამ okრუგში. ჩვენი okრუგის კომუნისტებმა ერთხმად აირჩიეს და ახალგაზრდობა გამოთქვა ნდობა, რომ ბ. ვ. მჟავანაძე ისევ, როგორც ყოველთვის, ახლაც ღირსეულად გაამართლებს ხალხის ნდობას.

სიტყვა ეძლევა თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ პარტორგანიზაციის მდივანს ბ. ჯახუტაშვილს.

— ჩვენს კოლექტივს წილად ხვდა დიდი პატივი — დაესახელებინა ბ. ვ. მჟავანაძე საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად. ამ კანდიდატურას დიდი ერთსულოვნებითა და მოწონებით შეხვდნენ. ამხ. ვ. პ. მჟავანაძე მრავალი წელია სათავეში უდგას საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, დიდ ძალასა და ენერგიას ახმარს რესპუბლიკაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეს.

გამოდის მწერალი ს. მთვარაძე. მან აღნიშნა, თუ რა დიდ მზრუნველობას იჩენს ვ. პ. მჟავანაძე ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის. ორატორმა წაიკითხა გამოთქვა, რომ არჩევნების დღეს okლქის ყველა ამომრჩეველი სიხარულით მისცემს ხმას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ს. ცინცაძემ აღნიშნა ის დიდი სიხარული, რომლითაც თბილისის კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები შეხვდნენ ცნობას, რომ ვ. პ. მჟავანაძე დათანხმდა კენჭი იყაროს დეპუტატობაზე თბილისის კიროვის საარჩევნო okლქში.

ორატორებმა თავიანთი კოლექტივების სახელით წინადადება წამოაყენეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის კიროვის № 162 საარჩევნო okლქში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარონ ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

კომისიამ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის კიროვის № 162 საარჩევნო okლქში რეგისტრაციაში გაატაროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე, რომელიც დაასახელეს თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“, ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის კოლექტივებმა.

* * *

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის საქალაქო № 185 საარჩევნო okლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. ამ okლქში დათანხმდა კენჭი იყაროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბორის ნიკოლოზის-ძე პონომარიოვმა.

სხდომა გახსნა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჟვანიამ. მან გამოაცხადა, რომ okლქის ყველა ამომრჩეველი დიდი კმაყოფილებით მეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა ღია წერილს საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი და სიხარულით შეიტყო, რომ ბ. ნ. პონომარიოვი დათანხმდა კენჭი იყაროს სოხუმის საქალაქო საარჩევნო okლქში.

სხდომაზე გამოვიდნენ აფხაზეთის პირველი რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმი გ. გოგია, გულრიფშის რაიონის ვლადიმიროვკის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „ეტონის“ წევრი ნ. ჩალაძე, სოხუმის ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი მუშა ა. ჯენია, სოხუმის საკონსერვო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი ჟ. ნასულიჩი, საარჩევნო კომისიის წევრები შ. ოჩიგავა, ა. ბოლტენკოვი და სხვები. საწარმოებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივთა დავალებით, რომლებმაც ისინი კომისიის სხდომაზე გამოგზავნეს, მათ წინადადება წამოაყენეს სოხუმის საქალაქო საარჩევნო okლქში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარონ ბორის ნიკოლოზის-ძე პონომარიოვი. ორატორებმა ბ. ნ. პონომარიოვი დაახასიათეს როგორც პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის.

სხდომამ მიიღო დადგენილება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოხუმის საქალაქო № 185 საარჩევნო okლქში რეგისტრაციაში გაატაროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბორის ნიკოლოზის-ძე პონომარიოვი, რომელიც დაასახელეს სოხუმის ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა, ვლადიმიროვკის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „ესტონეთის“ მშრომელებმა.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ლენინის № 161 საარჩევნო okლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარებულია თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის ამწყობ-ზენიკალთა ბრიგადირი ბუნამ შალვას-ძე ჩადუნელი.

* * *

თბილისის მექანიკური ქარხნის მოწინავე ზენიკალი ნიკოლოზ ივანეს-ძე კოტენკო გატარებულია რეგისტრაციაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის 26 კომისრის სახელობის № 163 საარჩევნო okლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე.

* * *

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის okტომბრის № 164 საარჩევნო okლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის okტომბრის № 164 საარჩევნო okლქში რეგისტრაციაში გაატაროს თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი ლამარა ერემეევნას ასული დეკანოსიძე.

(საქდესი).

მიფრინავს საქდესის „კოსმოსი-117“ ცნობა

1966 წლის 6 მაისს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-117“-ის მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც ხაედესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს. თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: — მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 89,5 წუთი; — მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 308 კილომეტრი; — მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 207 კილომეტრი; — ორბიტის დახრილობა — 65 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა; თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც 19,995 ათასი მეგაჰერცი სიხშირით მუშაობს; რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

საუკეთესო კოლექტივები დაჯილდოვდნენ გარდამავალი წითელი დროშებით

მოსკოვიდან კვლავ მოდის ცნობები, რომ 1966 წლის პირველი კვარტალის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს საქართველოს საწარმოთა კოლექტივებმა.

ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი დაჯილდოვდა სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსა და ხე-ტყის ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ფულადი პრემიით.

პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირი

ქუთაისი. (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხანაში სასახარულო დეპეშა მიიღეს. 1966 წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით ქუთაისის საკონსერვო ქარხანა პირველ ადგილზე გამოვიდა სსრ კავშირის კვების მრეწველობის საწარმოთა შორის. გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ამ კოლექტივს მიეკუთვნა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია 15 ათასი მანეთის ოდენობით.

ქუთაისელმა მეკონსერვეებმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს როგორც საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების, ისე მისი რეალიზაციის პირველი კვარტალისა და ოთხი თვის დავალება. განვლილ პერიოდში მიიღეს 160 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ამას წინათ თბილისის გაზეთ „ლენინელის“ ქარხნის ამწყობ საამქროში ამუშავდა კონვეიერი. თუ მის მოწყობამდე დღეში 150 ცალ გაჭურას უშვებდნენ, ახლა ერთ ცვლაში — 250 ცალს.

სურათზე: (წინა პლანზე) ამწყობი საამქროს უფროსი კარლო როგავა და ინჟინერი მერი ჩიხაშვილი.

ფოტო გ. გოგოხიასი.

მ ი მ ა რ თ ვ ა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

ყველა ამომრჩეველს — მუშებს, გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

პარტია მოგიწოდებთ თქვენ, ამხანაგო კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშებო, ყოველი ღონისძიებით განავითაროთ და განამტკიცოთ ეკონომიკა, მიაღწიოთ თვითეული მეურნეობის რენტაბელობას, აამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა, დანერგოთ ყოველივე მოწინავე, რასაც მეცნიერება და პრაქტიკა გვაძლევს, შეასრულოთ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ბრძოლაში ჩვენმა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი წარმატებანი მოიპოვა. ვინც ისწრაფვის, რომ სოციალისტური სოფლის მეურნეობა კიდევ უკეთ ვითარდებოდეს და უზრუნველყოფდეს პროდუქტების სიუხვეს, იგი ხმას მისცემს კომუნისტების პარტიის პოლიტიკას, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ამხანაგო საბჭოთა ინტელიგენტებო!

ჩვენ ყველანი ვამაყობთ, რომ საბჭოთა სამშობლო მოწინავე მეცნიერებისა და სოციალისტური კულტურის ქვეყანაა. სულ ნახევარი საუკუნის წინათ ჩვენი ხალხი თითქმის მთლიანად უწიგნური იყო, ახლა კი ყველაზე განათლებული გახდა. საბჭოთა ადამიანი პირველი გავიდა კოსმოსში, შექმნა საოცარი მანქანები, რომლებმაც შორეულ პლანეტებს მიაღწიეს.

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ საბჭოთა კავშირში სწავლობს 70 მილიონამდე კაცი. ჩვენში ამზადებენ თითქმის ოთხჯერ მეტ ინჟინერს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. უდიდესი ყურადღება ეთმობა მეცნიერების განვითარებას. ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ათობით ახალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, უფრო გაიზარდა და განმტკიცდა მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო ცენტრები. ჩვენს სამშობლოს მოწინავე პოზიციები უჭირავს ისეთ დარგებში, როგორიც არის კოსმოსური სივრცის კვლევა, ბირთვული ფიზიკა, მათემატიკა, ელექტრონიკა, რადიოტექნიკა, მეტალურგია.

კომუნისტურ პარტიას თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია დაუცხრომლად ზრუნავდეს ჩვენს ქვეყანაში განათლების, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

არჩევნების წინ ჩვენი პარტია მოუწოდებს საბჭოთა ინტელიგენციას იბრძოლოს მეცნიერებისა და კულტურის დარგში ჩვენი სამშობლოს შემდგომი პროგრესისათვის. პარტია მოუწოდებს საბჭოთა ინტელიგენციას კიდევ უფრო აქტიურად შეაღაროლოს მოზარდი თაობა მტკიცე ცოდნით; ამზადოს მაღალკვალიფიციური, ყოველმხრივ განათლებული, კომუნიზმის იდეალების ერთგული სპეციალისტები; განავითაროს საბჭოთა მეცნიერება, უზრუნველყოს მისი პირველობა ყველა დარგში; ყოველნაირად გაუმჯობესოს საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა, უფრო მკაფიოდ ასახოს მხატვრულ ნაწარმოებებში საბჭოთა ხალხის საგმირო საქმეთა სიდიადე და სილამაზე.

ახალი ხუთწლედის დიდებული ამოცანების განხორციელება, ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარება განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა ადამიანების აღზრდასთან მაღალი კომუნისტური იდეურობის სულისკვეთებით. რაც უფრო შეგნებული იქნება ჩვენი საზოგადოების ყველა წევრი, მით უფრო გაიზრდება მათი შემოქმედებითი აქტივობა, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება თვითეულის წვლილი კომუნიზმის აშენებაში.

მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია. ვისაც სურს საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის კიდევ უფრო აყვავება, ვისაც სურს განამტკიცოს საბჭოთა კავშირის პოზიციები მსოფლიო ასპარეზზე ამ დარგებში, იგი ხმას მისცემს კომუნისტების პარტიის პოლიტიკას, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ამხანაგო საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებო!

თქვენ ჩვენი სამშობლოს საზღვრების მამაცი გუშაგები ხართ. თქვენ ფხიზლად იცავთ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შრომას. ხალხი, პარტია და სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობენ და კვლავაც იხმარენ იმისათვის, რომ შეგაიარაღონ ყველაზე უახლესი და მრისხანე ტექნიკით სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად. თქვენი ამოცანა ის არის, რომ სრულყოფილად დაეუფლოთ საბრძოლო იარაღს, მუდამ მზად იყოთ გამანადგურებელი პასუხი გასცეთ ყოველ აგრესორს.

არჩევნების წინ კომუნისტური პარტია მოუწოდებს საბჭოთა მეომრებს კვლავაც აიმაღლონ პოლიტიკური და საბრძოლო მომზადება. პარტიას ეშვი არ ეპარება, რომ კომუნისტი და კომკავშირელი მეომრები სამაგალითონი იქნებიან მთელი არმიისათვის, და გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ ყველა სამხედრო მოსამსახურენი, თავიანთი ფიცის ერთგულნი, კვლავაც მტკიცედ იდგებიან ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

საბჭოთა ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით ყოველ ღონეს ხმაროს, რომ უზრუნველყოს საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის პირობები. ვისაც სურს შეინარჩუნოს და გააძლიეროს ჩვენი თავდაცვისუნარიანობა, ვისაც სურს მტკიცე მშვიდობა, იგი ხმას მისცემს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ამხანაგო ამომრჩევლებო!

საბჭოთა კავშირი მრავალეროვანი სახელმწიფოა. სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია ყველა ერისა და ეროვნების ჭეშმარიტად ძმური კავშირის შექმნა.

წარსულს ჩაბარდა და არასოდეს აღარ დაბრუნდება ის დრო, როცა ეროვნული შუღლი თიშავდა ძველი რუსეთის ხალხებს. საბჭოთა კავშირის მოძმე თანასწორუფლებიანმა ხალხებმა დაძლიეს საუკუნეობრივი ჩამორჩენა და ერთსულოვან ოჯახად მტკიცედ მიდიან წინ კომუნიზმისაკენ.

განვლილ ოთხ წელიწადში მიღწეულია ახალი უდიდესი წარმატებანი ეროვნული რესპუბლიკების განვითარებაში. მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში სწრაფი ტემპებით ვითარდება მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. მაღალ აყვავებას მიაღწია საბჭოთა ხალხების კულტურამ.

ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, სსრ კავშირის ყველა ხალხის ყოველმხრივი განვითარებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ადამიანებმა პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი გამარჯვებანი მოიპოვეს. ვისაც სურს კვლავაც განამტკიცოს ხალხთა მეგობრობა, უზრუნველყოს მოძმე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობა, მათი შემდგომი შეკავშირება ერთიან საბჭოთა კავშირში, იგი ხმას მისცემს კომუნისტთა პარტიის პოლიტიკას, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ამხანაგო ამომრჩევლებო!

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებში ხუთწლიანი გეგმის შესახებ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას.

საბჭოთა ადამიანები რეალურად გრძნობენ თავიანთი შრომის ნაყოფს. მათი ცხოვრება წლითიწლობით უფრო მდიდარი, უფრო შინაარსიანი ხდება როგორც მატერიალურად, ისე სულიერად. სოციალიზმი შევიდა ჩვენი ხალხის შეგნებაში, სისხლსა და ხორცში, ცხოვრების საბჭოური წესის შინაარსი გახდა. თვითეულ ადამიანს ახლა კარგად ესმის, თვალნათლივ ხედავს, თუ რა უპირატესობებს იძლევა სოციალისტური წყობილება.

იმპერიალიზმის იდეოლოგები გულმოდგინედ აქებენ ცხოვრებას ბურჟუაზიულ დასავლეთში. ამასთან მაინაშინებთ სიმართლე იმის შესახებ, თუ რა დიადი სოციალური მონაპოვრები აქვს საბჭოთა ხალხს, რომელმაც არ იცის ექსპლოატაცია, სოციალური და ეროვნული ჩაგვრა, უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული ძმიმე გაჭირვება და სწამს თავისი მომავალი. ბურჟუაზიული პროპაგანდისტები ცდილობენ დამალონ, რომ ჩვენს ქვეყანაში ხალხი სარგებლობს უფასო სამედიცინო მომსახურებით, უზრუნველყოფილია პენსიებით, რომ ჩვენში ყველაზე მცირე ბინის ქირაა. მათ ხელს არ აძლევს აღნიშნონ ის სახსრები, რაც ჩვენს ქვეყანაში ხმარდება საბავშვო დაწესებულებებს, პიონერთა ბანაკებს, სახალხო განათლებას, ყველა იმ სიკეთის შექმნას, რომლის მიცემა ხალხისათვის მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია და აძლევს კიდეც. სოციალიზმი წყვეტს შრომელი ხალხის, თვითეული ადამიანის ცხოვრების ძირეულ პრობლემებს, მაშინ როცა კაპიტალიზმი მიმართულია მშრომელი მასების წინააღმდეგ, ადამიანის წინააღმდეგ. მოგების მიღების მიზნით კაპიტალიზმი მიმართავს მშრომელი ადამიანის ექსპლოატაციის ყველაზე სასტიკ ფორმებს.

ჩვენს ქვეყანაში განვლილი ოთხი წლის მანძილზე პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს ახალი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი თითქმის 18 პროცენტით გადიდდა. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ხელფასი გაუდიდდა იმ დარგის 20 მილიონ მუშაკს, რომლებიც უშუალოდ მოსახლეობას ემსახურებიან.

1965 წელს კოლმეურნეთა ერთი დღის მუშაობის ანაზღაურება წინა წელთან შედარებით 17 პროცენტით გადიდდა. გაიზარდა იმ მატერიალურ სიკეთეთა ოდენობა, რომლებსაც საბჭოთა ადამიანები საზოგადოებრივი ფონდებიდან იღებენ, — 1965 წელს საზოგადოებრივმა ფონდებმა მიაღწიეს უდიდეს თანხას — 41,5 მილიარდ მანეთს. გასული წლის დამდეგიდან პენსიის მიღება დაიწყო რვა მილიონამდე კოლმეურნემ. გაფართოვდა შეღავათები დიდი ხამაუალო ომის ინვალიდებისათვის, დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის.

შემცირდა ქსოვილების, ტანსაცმლისა და ზოგიერთი სხვა საქონლის საცალო ფასები. შემცირდა და ქალაქის ფასებს გაუთანაბრდა იმ საქონლის ფასები, რომლებიც სოფლად იყიდება. განუწყვეტლივ უმჯობესდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მომარაგება სხვადასხვა საქონლით.

გაფართოვდა სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების ქსელი, აშენდა ახალი საავადმყოფოები, პოლიკლინიკები. ყველგან მიმდინარეობს უდიდესი საბინაო მშენებლობა. წინა არჩევნების შემდეგ 43 მილიონი საბჭოთა ადამიანი გადასახლდა ახალ ბინებსა და სახლებში ან გაუმჯობესა საბინაო პირობები.

ყველაფერი ეს ფაქტებია და არა დაპირებანი. ყოველივე ეს ჩვენი დღეების ცოცხალი რეალობაა. მაგრამ ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს ზოგიერთი საქონლის რაოდენობა, ასორტიმენტი და ხარისხი. თუმცა ბევრ ბინას ვაშენებთ, მაინც ჯერ კიდევ ცოტა როდია ოჯახი, რომელსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება სჭირდება.

პარტია უმნიშვნელოვანეს ამოცანად ისახავს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. მიმდინარე ხუთწლედში მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასი საშუალოდ სულ ცოტა 20 პროცენტით გადიდდება. მინიმალური ხელფასი გაიზრდება 60 მანეთამდე თვეში. სულ ცოტა 40 პროცენტით გადიდდება ფულადი დახმარება და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან. გათვალისწინებულია მოხუცებულობის გამო პენსიის მინიმალური ოდენობის გადიდება. კოლმეურნეებზე გავრცელდება ასაკის გამო პენსიაზე გადაყვანის პირობები, რომლებიც კანონით დაწესებულია მუშების და მოსამსახურეებისათვის. კვლავაც განხორციელდება ღონისძიებანი მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასზე გადასახადების გაუქმებისა და შემცირებისათვის. წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის კვალობაზე შემცირდება სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასები.

დიდი ყურადღება ექცევა საბინაო მშენებლობას. ხუთ წელიწადში ავაშენებთ საცხოვრებელ სახლებს, რომელთა საერთო ფართობი 480 მილიონი კვადრატული მეტრი იქნება. ამაღლდება მშენებლობის ხარისხი, ჩვენი სახლები უფრო კეთილმოწყობილი იქნება, გაუმჯობესდება კომუნალური მომსახურება.

მუშები და მოსამსახურეები თანდათან გადავლენ სამუშაო კვირაზე ორი დასასვენებელი დღით, სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონე კიდევ უფრო დაუახლოვდება ქალაქისას. ხუთ წელიწადში კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი საზოგადოებრივი მეურნეობიდან საშუალოდ 35-40 პროცენტით გაიზრდება; შემოღებულ იქნება კოლმეურნეთა შრომის ყოველთვიური გარანტირებული ანაზღაურება; დასახულია უფრო სწრაფი ტემპებით განვავითაროთ სოფლად ვაჭრობა, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა.

მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით ბეგრს მიაღწია. ვისაც სურს, რომ კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაიზარდოს მშრომელთა კეთილდღეობა, იგი ხმას მისცემს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ასეთია მიღწეულის ზოგიერთი შედეგი და მომავლის პერსპექტივები.

კომუნისტური პარტიის ძალა ხალხთან ერთობაა. პარტიას თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია კვლავაც განამტკიცოს კავშირი მასებთან, განავითაროს სოციალისტური დემოკრატია, გააუმჯობესოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა, ყოველნაირად განამტკიცოს დისციპლინა და ორგანიზებულობა.

საბჭოთა ხელისუფლება უზრუნველყოფს მშრომელთა მასების ნამდვილ მონაწილეობას სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში. ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო გამოხატავს მუშათა კლასის, გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის ძირეულ ინტერესებს.

არც ერთი ბურჟუაზიული სახელმწიფო, რა ლოზუნგებითაც უნდა ინიღბებოდეს იგი, თავისი კლასობრივი ბუნების გამო არ შეიძლება ახორციელებდეს მშრომელთა ინტერესების გამომხატველ პოლიტიკას. სიტყვით, ფორმალურად ბურჟუაზია აცხადებს მშრომელთა სხვადასხვა „თავისუფლებას“. მაგრამ სინამდვილეში ეს „თავისუფლებანი“ ნიშნავენ მხოლოდ ხალხის ექსპლოატაციისა და ჩაგვრის თავისუფლებას, ეროვნული და კოლონიური დამონების, საერთაშორისო უარყოფის თავისუფლებას.

საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიზმს გამოხატავს მთელი მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება საბჭოთა ადამიანების ძირეულ ინტერესებს. ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ „საბჭოთა რუსეთმა პროლეტარიატს, რუსეთის მშრომელთა მთელ გიგანტურ უმრავლესობას მისცა ყველა ბურჟუაზიული დემოკრატიული რესპუბლიკისათვის არნახული, შეუძლებელი და წარმოუდგენელი თავისუფლება და დემოკრატია“.

სოციალისტური დემოკრატია ფარისევლური, ყალბი ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან განსხვავებით საქმით უზრუნველყოფს მშრომელი ხალხისათვის დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს, შრომის, დასვენების, განათლების, უფასო მკურნალობის, მოხუცებულობაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლებას, პრესაზე და კრებებზე თავისი აზრის თავისუფლად გაქმის უფლებას. ყოველივე, რაც ჩვენში კეთდება, გამოხატავს მთელი ხალხის, სოციალისტური საზოგადოების მისწრაფებებსა და ინტერესებს.

ჩვენი საბჭოები სახალხო ხელისუფლების ორგანოებია. ისინი ნამდვილად არსითაც და ფორმითაც ჭეშმარიტად სახალხო ორგანოებია. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობაში მონაწილეობს ხალხის ორ მილიონზე მეტი რჩეული. საბჭოები აქტიურ გავლენას ახდენენ მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაზე, დიდ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობას.

უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც საბჭოებს დაუსახა სკკპ XXIII ყრილობამ მეურნეობისა და კულტურის დარგში, მოითხოვს საბჭოების, მათი აღმასკომების, მუდმივი კომისიების, დეპუტატების ორგანიზატორული მუშაობის განუწყვეტლივ სრულყოფას, სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას. კომუნისტურ პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია კვლავაც განამტკიცოს საბჭოთა სახელმწიფო, განავითაროს და სრულყოს სოციალისტური დემოკრატია, გაზარდოს საბჭოების როლი კომუნისტურ მშენებლობაში.

ძვირფასო ამხანაგებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები მიმდინარეობს მსოფლიოში დიდ და მნიშვნელოვან ცვლილებათა ვითარებაში. იზრდება მსოფლიო სოციალისტური სისტემის როგორც საერთაშორისო საქმეებში გადამწყვეტი ფაქტორის როლი.

კიდევ უფრო ამაღლდა საბჭოების ქვეყნის პრესტიჟი მსოფლიო ასპარეზზე. ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკა შეესაბამება ყველა ქვეყნის მშრომელთა საარსებო ინტერესებს, თავისი განთავისუფლებისათვის მებრძოლი ყველა ხალხის ინტერესებს.

ამ ბოლო დროს კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ვლინდება ორი მთავარი მიმართულება საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში: ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების პოლიტიკა, იმპერიალისტური აგრესიის გაბედული დათრგუნვის პოლიტიკა, რასაც საბჭოთა კავშირი და მოძმე სოციალისტური ქვეყნები ახორციელებენ, და აგრესიის, შეთქმულებების, პროვოკაციებისა და ომების პოლიტიკა, რასაც თავხედურად ახორციელებენ იმპერიალისტური ქვეყნები და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები.

მთელი მსოფლიოს თვალი ახლა მიპყრობილია გმირი ვიეტნამისადმი, სადაც მოძმე ვიეტნამელი ხალხი, რომელიც ეურდნობა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების აქტიურ მხარდაჭერას, გაბედულად იგერიებს ამერიკელ აგრესორებს. სკკპ XXIII ყრილობამ პარტიისა და ყველა ხაბჭოთა ადამიანის სახელით გადაჭრით მოითხოვა შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ და გაყვანილ იქნან ვიეტნამიდან ინტერვენტთა მთელი ჯარები. საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, მშვიდობის მოყვარე ხალხები არ შეურიგდებიან იმპერიალისტურ თვითნებობას.

კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მიზანია ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომი განმტკიცება, კომუნისტური მშენებლობის მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფა. პარტიისა და მთავრობის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა საიმედოდ ემსახურება კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს, საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც განამტკიცებს მეგობრობასა და თანამშრომლობას მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნებთან, განამტკიცებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა პროლეტარულ სოლიდარობას. დაეხმარება ჩაგრულ ხალხებს მათს წმიდა-წმიდა ბრძოლაში თავისუფლებისათვის, ეროვნულ დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ებრძოლეს ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის, ფხიზლად ადევნებს თვალყურს აგრესორთა ხრიკებს და ჯეროვან სიმაღლეზე იქონიებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვას, განახორციელებს სხვადასხვა სოციალისტური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს.

ამხანაგო ამომრჩევლებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც მთელ ძალებს მოახმარს ხალხთა ბედნიერებისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის ბრძოლას, კომუნიზმისათვის ბრძოლას.

საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ სჯერა თავისი პარტიისა. ეს რწმენა გამოიწრთო რევოლუციურ ბრძოლებში, მშვიდობიან მშენებლობაში, კაცობრიობის უბოროტეს მტერთან — ფაშიზმთან სისხლისმღვრელ შერკინებაში, კომუნიზმისაკენ საბჭოთა ხალხის მძლავრ წინსვლაში. საბჭოთა ხალხმა იცის, რომ კომუნისტურ პარტიას მასთან არასოდეს და არაფერში პირი არ გაუტეხია, პარტია და ხალხი მუდამ ერთად არიან შრომაშიც და ბრძოლაშიც, ქარიშხალშიც და კარგ დარშიც.

საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მოუწოდებს მუშებს, გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყველა მუშაკს, საბჭოთა არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს, კომუნისტებს, კომკავშირელებს, პროფესიული კავშირების წევრებს, საბჭოთა ქალებს, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს. შრომისა და ომის ვეტერანებს — ყველა ამომრჩეველს 1966 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე დღეს ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით თქვენ ხმას მისცემთ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას, ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატების ერთსულოვანი არჩევა ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის ერთობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მათი მონოლითური შეკავშირების ახალ მკაფიო დადასტურება იქნება.

ყ ვ ე ლ ა ნ ი ა რ ჩ ე ვ ნ ებ ზ ე!

გაუმარჯოს და აყვავდეს ჩვენი დიადი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

გაუმარჯოს შრომისმოყვარე და გმირ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით წინ კომუნიზმის გამარჯვებისათვის!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საოლქო წინასაარჩევნო თათბირები

თბილისი. გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ორჯონიკიძის № 678 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების თათბირი. მისმა მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს საწარმოთა და დაწესებულებათა იმ კოლექტივების წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი, რომლებმაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შოთა ეფრემის ძე ბუხრაშვილი.**

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს თავიანთ კანდიდატს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ამ საარჩევნო ოლქში.

თბილისი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის პირველი მაისის № 166 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად მოიწონა წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უძაღლეს ორგანოში დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ „თბილისგვირაბმშენის“ 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ზეინკალ-მემონტაჟე **ალექსანდრე იოსების ძე დათაშვილი.**

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს ა. ი. დათაშვილს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ამ საარჩევნო ოლქში.

გორი. გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების გორის № 682 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი. მისმა მონაწილეებმა ერთხმად დაადგინეს — მოიწონონ წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი იშის შესახებ, რომ საბჭოთა პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ გორის ბამბეულის კომბინატის მქსოველი **ნანული გიორგის ასული ჩერქეზიშვილი.**

მიღებულ წერილში თათბირის მონაწილეთა ნ. გ. ჩერქეზიშვილს სთხოვენ კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ამ საარჩევნო ოლქში.

სამტრედია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების სამტრედიის № 689 საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სამტრედიის საარჩევნო ოლქში შემავალი საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივების წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებას, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ ამეერკაკასიის რკინიგზის სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანე **კარლ თევდორეს ძე ჯანელიძე.**

თათბირმა სთხოვა თავის კანდიდატს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ამ საარჩევნო ოლქში.

გურჯაანი. გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გურჯაანის № 174 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო თათბირი. თათბირის მონაწილეებმა მხურვალედ მოიწონეს წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი **ვიქტორ სტეფანეს ძე კვარაცხელია.**

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს ვ. ს. კვარაცხელიას კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ამ საარჩევნო ოლქში.

ძუთაისი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ზუგდიდის № 176 საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო თათბირის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ზუგდიდის საარჩევნო ოლქში შემავალი საწარმოთა, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების მშრომელთა კრებების გადაწყვეტილებას, რომ დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი **ვიქტორ სტეფანეს ძე კვარაცხელია.**

ზუგდიდი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 176 საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს ზუგდიდის საარჩევნო ოლქში შემავალი საწარმოთა, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების მშრომელთა კრებების გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი **ალექსანდრა ალექსანდრეს ასული ჭელიძე.**

ბაღდათი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბაღდათის № 178 საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო თათბირზე ერთსულოვნად მოიწონეს წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ საქართველოს კომპარტიის ბაღდათის რაიკომის პირველი მდივანი **ალექსანდრა ალექსანდრეს ასული ბოლქვაძე.**

ბაზალეთი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბაზალეთის № 179 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირზე ერთსულოვნად ერჩიეს ამ ოლქიდან საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად **ალექსანდრა ალექსანდრეს ასული ბოლქვაძე.**

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საერთაშორისო ცხოვრება

ილუსტრირებული ჟურნალი

საოლქო წინასაარჩევნო თათბირები

(დასასრული)

მეურნეობების, სამკოთა მეურნეობების, სოფლისა და დაწესებულებების მშრომელთა წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი, რომლებმაც დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე თოიძე.**

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს კანდიდატს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ამ საარჩევნო ოლქში.

მცხეთა. გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მცხეთის № 180 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი. თათბირის მონაწილეებმა ერთხმად დაადგინეს — მოიწონონ მცხეთის საარჩევნო ოლქში შეადგენილი სწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივთა წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილის **მიხეილ ილიას ძე კაზაკოვის** დასახელების შესახებ.

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს მ. ი. კაზაკოვს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ამ საარჩევნო ოლქში.

სოხუმი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის № 481 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლებმა სოლქში წინასაარჩევნო თათბირზე ერთხმად მოიწონეს წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი საბჭოთა პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად სოხუმის № 8 სტადიის მბეჭდავის **აგრიფინა ანდრიას ასულ ძიძარიას** დასახელების შესახებ.

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს ა. ა. ძიძარიას კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ამ საარჩევნო ოლქში.

სოხუმი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის № 483 სასოფლო საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება ერთხმად დაუჭირონ მხარი წინასაარჩევნო კრებების დადგენილებებს საბჭოთა პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ განათლების ministrის **თამარ ვასილის ასულ ლაშქარაშვილის** დასახელების შესახებ.

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს თ. ვ. ლაშქარაშვილს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ამ საარჩევნო ოლქში.

ბაბრა. გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გაგრის № 484 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების თათბირი. თათბირმა გადაწყვიტა მოიწონოს მშრომელთა კოლექტივების წინასაარჩევნო კრებების დადგენილებანი, რომლებმაც დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს გაგრის რაიონის სოფელ სალმის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ მოწინავე მეთამბაქოე **არველუს ალეკოს ასული მატოსიანი.**

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს თავიანთ კანდიდატს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ამ საარჩევნო ოლქში.

გალი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გალის № 485 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლებმა სოლქო წინასაარჩევნო თათბირზე ერთსულოვნად მოიწონეს წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიის **ლუსია გიგოლის ასულ გამსახურდიას** დასახელების შესახებ.

თათბირმა სთხოვა თავის კანდიდატს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ამ საარჩევნო ოლქში.

გულრიფში. გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გულრიფშის № 487 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი. თათბირმა მოიწონა წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი დეპუტატობის კანდიდატად აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **მიხეილ გერასიმეს ძე ჩიქოვანის** დასახელების შესახებ.

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს მ. გ. ჩიქოვანს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ამ საარჩევნო ოლქში.

ოსტამირი. გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ოჩამჩირის № 489 საქალაქო საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი. თათბირის მონაწილეებმა ერთხმად გადაწყვიტეს — მოიწონონ წინასაარჩევნო კრებების დადგენილებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის **გამგეობის თავმჯდომარის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ალექსი დავითის ძე მაჭავარიანის** დასახელების შესახებ.

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს ა. დ. მაჭავარიანს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე ამ საარჩევნო ოლქში.

* * *

საოლქო წინასაარჩევნო თათბირებზე მიღებულია მიმართვები ოლქების ყველა ამომრჩევლისადმი, არჩეული არიან ნდობით აღჭურვილი პირნი. (საქდესი).

მ. ა. შოლოხოვი იაპონიაში მიემგზავრება

მოსკოვი, 5 მაისი. (საკდესი). გულთათადად მიესალმა და ყოველივე საუკეთესო უსურვა იაპონელ ხალხს მ. ა. შოლოხოვმა. დღეს, იაპონიაში გამგზავრების წინ, იგი შეხვდა ჟურნალისტებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის კომიტეტში.

მწერალმა თქვა, რომ ბევრი რამ აინტერესებს იაპონიაში, სადაც პირველად მიემგზავრება. კერძოდ, მას სურს გაეცნოს იაპონიის სოფლის მეურნეობას.

— რომელ ქვეყანაშიც უნდა ჩავდიოდე, — თქვა მ. ა. შოლოხოვმა, — უწინარეს ყოვლისა ვეცნობი იმას, რაც ახლობელია ჩემთვის. ბუნებრივია, შევხვდები მწერლებს, ვესაუბრები მათ პროფესიონალურ თემებზე.

მ. ა. შოლოხოვმა უპასუხა მრავალ შეკითხვაზე, რომლებიც ეხებოდა მის შემოქმედებასა და საბჭოთა ლიტერატურას.

7 მაისი რადიოს დღეა



— რა ამოცანები დაუსახა კავშირგამშულობის მუშაკებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის განვითარების დარგში?

— ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის დირექტივებში დიდი ყურადღება ეთმობა მოსახლეობის კულტურული მომსახურების ისეთ უმნიშვნელოვანეს საშუალებებს, როგორიც არის ტელევიზია და რადიომაუწყებლობა.

ტელევიზია მოწოდებულია დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონების კულტურულ დონეთა დაახლოებაში.

ახლა სსრ კავშირში მუშაობს 186 ძლიერი სატელევიზიო სადგური და ბევრე სიმძლავრის 500-მდე სატელევიზიო რეტრანსლატორი, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ტელემაყურებელთა აუდიტორია. ხუთწლეულში სატელევიზიო სადგურებს ქსელი ბევრად გაფართოვდება. აიგება კიდევ 120-ზე მეტი სატელევიზიო სადგური, ზოგადად ეს იქნება ძლიერი რეტრანსლატორები, და ამ ხანაში ზოგიერთ ადგილებში გათვალისწინებულია საპროგრამო ტელეცენტრების მშენებლობა.

გარდა ამისა, დაგეგმილია დაიდგას ასეული ძლიერ სიმძლავრის ბევრი რეტრანსლატორი.

ცოდნილია, რომ ხუთწლეულის ბოლოს ტელევიზიის სატელევიზიო მაუწყებლობა მოიცავს ტერიტორიას, რომელზეც ცხოვრობს 160 მილიონი კაცი. მოსახლეობაში ტელევიზორების რიცხვი 40 მილიონ ცალამდე გადადდება.

მოსახლეობის სულ უფრო მზარდი კულტურული და სულიერი მოთხოვნილებანი კავშირგამშულობის მუშაკებს უსაზღვრ სხვა ამოცანასაც — გააფართოონ ტელევიზიო ცენტრების სადგურებიდან შესაძლებლობანი მეორე სატელევიზიო პროგრამების გადაცემის უზრუნველსაყოფად, ბირველ რიგში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქებში.

საბჭოთა ხალხი დიდ ინტერესს იჩენს ბევრი ტელევიზიისადმი, რომლის განთავრების აუცილებლობა აგრეთვე აღნიშნულია პარტიის XXIII ყრილობის დოკუმენტებში. კავშირგამშულობისა და ტელემაუწყებლობის მუშაკები შრომობენ ამ პრობლემაზე, რათა უახლოეს ხანებში ტელევიზორების ეკრანებზე შესაძლელი გახდეს ვიხილოთ მთელი სიდიდრე ბუნებრივი ფერებისა.

მიმდინარე ხუთწლეულში გაფართოვდება რადიომაუწყებელი სადგურების ქსელიც. ძლიერი რადიოსადგურები, რომლებიც შენდება და რომელთა მშენებლობა განზრახულია, უზრუნველყოფენ მაუწყებლობის პროგრამების სმენადობის გაუმჯობესებას ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიის შორეულ რაიონებში.

— **განვლილ შვიდწლეულში ფართოდ განვითარდა რადიომაუწყებლობა ულტრამოკლე ტალღებით. გთხოვთ გაგვაცნოთ მაუწყებლობის ამ სახეობის პერსპექტივები.**

— დიახ, ულტრამოკლე ტალღების დიაპაზონში მაუწყებლობა თავისუფალია იმ ნაკლოვანებათაგან, რომლებიც ახასიათებს გრძელტალღიანი და მოკლეტალღიანი დიაპაზონების რადიოსადგურებს, მაგალთად, იმდენტრიულ, ატმოსფერულ და სხვა დაბრკოლებათა გაკლენის გამო მიღების ხარისხის გაუარესებისგან, გრძელი და საშუალო ტალღების დიაპაზონში თავისუფალი არხების რიცხვის შეზღუდულობისაგან და ასე შემდეგ.

ულტრამოკლე ტალღების დიაპაზონში რადიოსადგურებს შეუძლიათ დაიკავონ სიხშირეთა უფრო ფართო ზოლი, რაც შესაძლებლობას იძლევა მოეწყოს მაღალხარისხოვანი ორ და მეტპროგრამიანი მაუწყებლობა სიხშირეთა მოდულაციის გამოყენებით.

და, დასასრულ, ფრიად არსებითი გარემოება — ულტრამოკლეტალღოვანი მაუწყებლობის განვითარების ეკონომიურობა.

— **უწინარეს ყოვლისა ეს არის ცენტრალური ტელევიზიის** იმ პროგრამის მიღების ზონის მნიშვნელოვანი გაფართოება, **რომელიც** მოსკოვიდან გადაიცემა, და პროგრამების გაცვლა ჩვენი ქვეყნის ტელეცენტრებს შორის.

ეს შესაძლებელი გახდა კაბელური და რადიორელეური ხაზების განვითარების მეოხებით. მაგალითად, ცენტრალური ტელევიზიის პროგრამები გადაეცემა ლენინგრადს, ტალინს, რიგას, ვილნიუსს, კალინინგრადს, კიევს, ლვოვს, კიშინიოვს, ოდესას, გორკის, ჩელიაბინსკს, სვერდლოვსკს და ასე შემდეგ.

1965 წელს ცენტრალური სატელევიზიო პროგრამა მიიღეს შუა აზიის რესპუბლიკებმა.

სსრ კავშირის სატელევიზიო ქსელი რამდენიმე წლის წინათ შეუერთდა ინტერვიზიისა და ევროვიზიის ქსელს, რამაც შესაძლებლობა მოგვცა მოგვეწყო სატელევიზიო პროგრამების გაცვლა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანასთან.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევეხოთ მოსკოვ-კატოვიცე-პრაღა-ბერლინის საერთაშორისო მაგისტრალს, რომელიც შეიქმნა სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კავშირგამშულობის მუშაკთა გაერთიანებული ღონისძიებებით. ეს მაგისტრალი, რომელიც აღჭურვილია საბჭოთა აპარატურით, უზრუნველყოფს ევროპის ქვეყნებთან პროგრამების მაღალხარისხოვან გაცვლას.

ტელევიზია დღეს შორს გასცდა ჩვეულებრივი სახეობის გართობის ფარგლებს. იგი შესაძლებლობას აძლევს მაყურებელს თავი იგრძნოს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების უშუალო მონაწილედ.

გაიხსენეთ, რა აღტაცებით უკრავდნენ ტაშს მაყურებლები მსოფლიოში პირველად გაჩენილ „საბჭოთა კოსმოვიზიას“, როცა საბჭოთა კოსმოსური ხომალდების ფრენისას მათ დაინახეს ტელევიზიო გადმოცემები უშუალოდ ამ ხომალდებიდან.

კოსმოვიზიის დახმარებით გადმოცემული იქნა ჩვენი ბუნებრივი თანამგზავრის — მთვარის უკანა მხარის ფოტოსურათები, ხოლო სადგურმა „ლუნა-9“-მ მთვარის ზედაპირის პანორამული სურათებიც გადმოგვცა.

პარტიის XXIII ყრილობამ დაგვისახა ამოცანა უზრუნველვყოთ ტელევიზიის პროგრამების გადაცემა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რაიონში. ამ ამოცანის განსახორციელებლად საჭიროა ახალი ტექნიკური გადაწყვეტანი კერძოდ, ორგანიზაცია ტელევიზიის მიღებისა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების საშუალებით.

ის მუშაობა, რომელიც ამ მიმართულებით წარმოიგეს, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ უკვე უახლოეს ხანში ამ არხებით სატელევიზიო პროგრამას მიიღებს მაგადანის ოლქის, კამჩატკის, იაკუტიის, სახალინისა და ჩვენი ქვეყნის სხვა შორეული რაიონების მოსახლეობა. (აას).

ბინძური ომის საწინააღმდეგოდ

მოგადიშო. სომალის შრომის საყოველთაო კონფედერაციამ დაგმო ამერიკის აგრესია ვიეტნამის მიმართ. „ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ პროტესტს, ნათქვამია კონფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში, — ბინძური ომის გამო, რასაც ამერიკელი იმპერიალისტები აწარმოებენ ვიეტნამელი ხალხისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ხალხების წინააღმდეგ“.

ბრიუსელი. დიდი უმრავლესობა ამერიკის აგრესიის წინააღმდეგია. ასეთია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგი, რომელიც მოაწყო „ბრიუსელის მშვიდობისათვის მოძრაობის“ სექციამ ანდერლეხტის კომუნაში. გამოკითხულთა 59 პროცენტს მიაჩნია, რომ სამხრეთვიეტნამელ პარტიზანებს მხარს უჭერს სამხრეთ ვიეტნამის დიდი უმრავლესობა; 81 პროცენტმა განაცხადა, რომ ამერიკის ინტერვენცია ვერ ჩაახშობს სამხრეთვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგობას; 61 პროცენტი დარწმუნებულია, რომ ვიეტნამის მდგომარეობის მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარების გაყვანის შემდეგ. განმარტა რა გამოკითხვის შედეგები, „ბრიუსელის მშვიდობისათვის მოძრაობის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ საზოგადოებრივი აზრი ბრიუსელის ანდერლეხტის კომუნაში გამოხატავს ბელგიის მოსახლეობის განწყობილებას.

დამასკო. გაზეთი „ას-საურა“ წერს კრიზისისა და ამერიკის მთავრობის იზოლაციის შესახებ ვიეტნამის ომთან დაკავშირებით. ამერიკელი ჯარისკაცების მხეცობამ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, დემოკრატიულ თავისუფლებათა ჩახშობამ, ამერიკის საზოგადოების ყველა ჯგუფისა და ფენის მზარდმა პროტესტმა ბინძური ომის წინააღმდეგ, რაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში წარმოებს, გამოიწვია საყოველთაო უკმაყოფილება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოქმედების გამო, ხაზს უსვამს გაზეთი.

ჰელსინკი. ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლასთან სოლიდარობის ნიშნად ფინეთში შექმნილა ვიეტნამთან მეგობრობის კომიტეტმა ჰელსინკში მოაწყო დემონსტრაცია. კომიტეტმა მოწოდებით მიმართა საზოგადოებრივობას, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „სიკვდილი ფენის წევრებით კი არ დაანჯღრს ვიეტნამში, არამედ რკინით მოჭედილი ჩექმებით. ვიეტნამელები მოხუცებულობის გამო კი არა, არამედ ამერიკის ნაპალმის ბომბების აფეთქების გამო იხოცებიან... ჩვენთან ერთად გამოუცხადეთ სოლიდარობა ვიეტნამელ ხალხს“.

კანბერა. ახალი ზელანდიის ლეიბორისტულმა პარტიამ და ახალი ზელანდიის შრომის ფედერაციამ მოუწოდა მთავრობას დაუყოვნებლივ გამოიყვანოს ახალი ზელანდიის ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან. ამას იუწყება ოსტრელიენ ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ჟენევიდან. ოსტრელიენ ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ჟენევინგტონელი კორესპონდენტი. (საკდესი).

ჯონსონის განკარგულება

ვაშინგტონი, 6 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა გუშინ იუსტიციის ministrს მისცა განკარგულება გააძლიეროს ბრძოლა ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ამერიკაში. პრეზიდენტმა ორგანიზებულ დამნაშავეობას შეერთებულ შტატებში უწოდა ომი „ამერიკის საზოგადოების წინააღმდეგ“.

როგორც ჯონსონმა განაცხადა, ორგანიზებული დამნაშავეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში უდიდეს მატერიალურ ზარალს აყენებს ქვეყანას. „ძალიან დიდი დოლარი ხელიდან გვეცლება სხვადასხვა აზარტული თამაშის, ხარკოტიკებით ვაჭრობის, პროსტიტუციის, ყაჩაღობამჭრელობისა და სხვა თაღლითური ოპერაციების შედეგად“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

აქ მუშაობდა ლენინი

ბერლინი, 6 მაისი. (საკდესი). ლაიფციგი, რუსენშტრასეს ქუჩა, 48. — ამ მისამართს კარგად იცნობს ბევრი გერმანელი მშრომელი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარგარეთელი სტუმარი. იქ, ლაიფციგის გარეუბანში, არის ლენინური „ისკრის“ სახლ-მუზეუმი. ამ სახლში იყო სტამბა, რომელშიც 1900 წელს ვ. ი. ლენინი უშვებდა საერთო რუსული მარქსისტული გაზეთის პირველ ნომერს.

გუშინ „ისკრის“ სახლ-მუზეუმმა აღნიშნა არსებობის 10 წლისთავი. ამ დროის განმავლობაში მუზეუმს, რომლის ექსპონატები აშუქებენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მოღვაწეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს, ეწვია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის 160 ათასი წარმომადგენელი.

ნეერუს ხსოვნას

დელი, 6 მაისი. (საკდესი). ინდოეთის პარლამენტის ცენტრალურ დარბაზში პარლამენტის დეპუტატების, მთავრობის წევრების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეების თანდასწრებით ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ს. რადჰაკრიშნანმა გუშინ საღამოს საზეიმო ვითარებაში ჩამოხსნა საბურველი ინდოეთის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის, დამოუკიდებელი ინდოეთის პირველი პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს პორტრეტს. ცნობილი მხატვრის სვიატოსლავ რერიხის მიერ შესრულებული ნერუს პორტრეტი ამიერიდან ინდოეთის გამოჩენილ მოღვაწეთა სხვა 11 პორტრეტთან ერთად დაამშვენებს პარლამენტის ცენტრალურ დარბაზს. ცერემონიალზე სიტყვები წარმოთქვეს პრეზიდენტმა რადჰაკრიშნანმა, სახალხო პალატის სპიკერმა ჰუკამ სინგჰმა, პარლამენტის დეპუტატებმა. მათ თქვეს, რომ ჯავაჰარლალ ნერუს დიდი ღვაწლი მიუძღვის ინდოეთის წინაშე მისი დამოუკიდებელი და სუვერენულ სახელმწიფოდ ქმნადობის საქმეში.

ფიატის მონაწილეობით

რომი, 5 მაისი. (საკდესი). ტორინოში ხელი მოაწერეს ოქმს იმის შესახებ, რომ იტალიის საავტომობილო საზოგადოება ფიატი მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირში მსუბუქი ავტომობილების საწარმოთა სამრეწველო კომპლექსის შექმნაში.

პაკისტანის გადაწყვეტილება

პარიზი, 5 მაისი. (საკდესი). პაკისტანი არ მიიღებს მონაწილეობას სეატოს საზღვაო წვრთნაში ფილიპინების მახლობლად სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს ყარაჩელი კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს სარწმუნო წყაროებს. ეს წვრთნა უნდა დაიწყოს 19 მაისს.

მიწისქვეშა ატომური აფეთქება

ნიუ-იორკი, 5 მაისი. (საკდესი). დღეს ნევადის შტატის ატომურ პოლიგონზე მოაწყვეს ახალი მიწისქვეშა ატომური გამოცდა, იუწყება ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისია.

მიმდინარე — 1966 წელი დამამთავრებელია პოლონეთის სახელმწიფოს არსებობის ათასი წლისთავის ზეიმისა.

სახალხო პოლონეთის მშრომელებმა უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე უდიდესი წარმატებები მოიპოვეს სოციალიზმის მშენებლობაში.

სურათზე: მეტალურგიის გიგანტი — ნოვა გუტას ვ. ი. ლენინის სახელობის კომბინატი.

ფოტო ვ. სობოლევისა. (საკდესის ფოტოკორესპონდენტი).

ვაშინგტონი საგონებელში

ვაშინგტონი, 6 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო იუწყება:

გუშინ აქ დამთავრდა ორი დღის სესია პრეზიდენტის საკონსულტაციო კომიტეტისა, რომელიც უკანასკნელ წელიწადახევარში პირველად მოიწვია პრეზიდენტმა ჯონსონმა. კომიტეტის ასეთ მოულოდნელ და ნაჩქარეულ მოწვევას, რომელშიც შედიან უდიდესი მონოპოლიების წარმომადგენელნი და პროფკავშირთა ლიდერები, აქ უკავშირებენ ეკონომიური და ფინანსური სიძნელეების ზრდას.

მიმართა რა კომიტეტის წევრებს, ჯონსონმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ უკანასკნელ 12 თვეში საცალო ფასები გადადდა 2,8 პროცენტით და საბითუმო ფასები — 4 პროცენტით. მან სთხოვა კომიტეტს დასახოს „კონსტრუქციული წინადადებანი“, რათა შემცირდეს ინფლაცია, საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის და შეუდგეს ცხოვრების ღირებულების ზრდა.

შეშფოთება, რომელიც ჯონსონის სიტყვაში გაისმა, იგრძნობოდა ვაჭრობის მინისტრის კონორისა და ფინანსთა მინისტრის ფაულერის გამოსვლებშიც ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პალატის ყოველწლიურ ყრილობაზე, რომელიც აქ გაიმართა. მინისტრებმა მოუწოდეს ბიზნესმენებს შეამცირონ კაპიტალდაბანდება საზღვარგარეთ, რომლის ზრდა საგადამხდელო ბალანსის გაუარესების ერთ-ერთი მიზეზია.

სავაჭრო პალატამ, მიუხედავად მთავრობის მოწოდებისა, მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს ამერიკის კაპიტალის ექსპორტის შეზღუდვის ღონისძიებებს. ყრილობამ უარყო აგრეთვე ახალი ფინანსური ბაზრის შემოღება, მიუხედავად იმისა, რომ მინისტრებმა განაცხადეს, მთავრობამ შესაძლოა, გამოიყენოს საგადასახადო ბერკეტის ინფლაციის შესაჩერებლადო.

სავაჭრო პალატის ასეთი პოზიცია უსიამოვნო სიურპრიზია ჯონსონის მთავრობისათვის, ეწინააღმდეგება მის ეკონომიურ პოლიტიკას. როგორც ყველაფრიდან ჩანს, სავაჭრო პალატის პოზიციამ, აგრეთვე პროფკავშირთა ხელმძღვანელობის მზარდმა უკმაყოფილებამ მთავრობის პოლიტიკის გამო, რომელიც ცდილობს არ დაუშვას მუშათა ხელფასის ზრდა, აიძულა პრეზიდენტი მოეწვია საკონსულტაციო კომიტეტი.

პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ ჯონსონის მთავრობა აპირებს ხელი აიღოს ამა წლის დამდეგს დასახულ მიზანზე — საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის ლიკვიდაციაზე. მთავრობა ახლავე იძლევა გაფრთხილებას, რომ, როგორც ჩანს, დეფიციტი მიმდინარე წელს 2 მილიარდ დოლარს მიაღწევს, რაც 0,7 მილიარდ დოლარით აღემატება გასული წლის დონეს.

ესპანელი სტუდენტები იბრძვიან თავისუფლებისათვის

ლონდონი, 5 მაისი. (საკდესი). დღეს მადრიდში დემონსტრაციაზე გამოვიდა 3 ათასი სტუდენტი ლოზუნგებით: „მოვითხოვთ თავისუფლებას!“ — იუწყება ესპანეთის დედაქალაქიდან რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი.

მთელ საათს გაგრძელდა სტუდენტთა დემონსტრაცია მადრიდის საუნივერსიტეტო უბახსა და ახლომდებარე ქუჩებში. ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა.

დღეკანდელი დემონსტრაცია დაიწყო მორიგი თავისუფალი ასამბლეით პოლიტეკნიკიის ფაკულტეტის შენობაში, სადაც სტუდენტები კვლავ გამოვიდნენ თავიანთი დამოუკიდებელი დემოკრატიული პროფკავშირების დასაცავად. მათ კიდევ ერთხელ გამოუცხადეს სოლიდარობა ბარსელონის სტუდენტებს, სადაც უკვე 10 დღეა დაიხურა უნივერსიტეტი მასობრივი ანტიფრანკისტული დემონსტრაციების შემდეგ.

ასამბლეის შემდეგ სტუდენტები გაეშართნენ საუნივერსიტეტო უბნის ცენტრისაკენ. ისინი ერთხმად გაიძახოდნენ: „მოვითხოვთ თავისუფლებას!“ დემონსტრანტები ნაკუწ-ნაკუწ ხეკნენ და ქუჩებში აბნევდნენ ფრაგმენტულ გზაგუბებს. სტუდენტთა ასეთი მასობრივი პროტესტები ოფიციალური პრესის დეზინფორმაციისა და ცილისწამების წინააღმდეგ ჩვეულებრივი ამბავი გახდა ესპანეთში.

საუნივერსიტეტო უბანს გარს შემოერტყა ასობით პოლიციელი და ცხენოსანი პოლიცია. ათობით ცხენოსანი ყანდარმი თავს დაესხა დემონსტრაციის მონაწილეებს ოქტორატის შენობასთან. პოლიციელები ხელკეტების ქნევით დაერეკნენ სტუდენტებს მანკლოს მოედანზე. დემონსტრაციის ათობით მონაწილე დააპატიმრეს.

სტუდენტთა დემონსტრაციის მონაწილენი გადაჭრით მოითხოვდნენ მადრიდში, ბარსელონაში, სან-სებასტიანსა და პამპოლონაში დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლებას.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ სტუდენტთა თავისუფალი ასამბლეის მონაწილენი განცხადებას, რომ მათს ბრძოლას მხარს უჭერენ მადრიდის მუშათა კომისიები — ესპანეთის ახალი დემოკრატიული პროფკავშირული მოძრაობის ძირეული ორგანიზაციები.

მდგომარეობა კონგოში

ლონდონი, 5 მაისი. (საკდესი). ლეოპოლდვილის კონგოს მთავრობის ჯარებმა ხელი იგდეს ქალაქი ბაფვასენდე, მსხვილი ცენტრი კონგოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, 350 კილომეტრზე სტანლივილიდან. ამას იუწყება რეიტერის საგენტოს ლეოპოლდვილელი კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს სამეკი ბაფვასენდე მცხოვრებ სამხედრო წყაროებს.

ბაფვასენდე ამ ბოლო დრომდე აჯანყებულთა ხელში იყო და ემსახურებოდა მათ როგორც უმნიშვნელოვანესი საყრდენი პუნქტი ვრცელ ტყიან რაიონში სტენლივილის აღმოსავლეთით, რომელსაც ჯერ კიდევ კონტროლს უწევენ აჯანყებულები.

როგორც კორესპონდენტი იუწყება, ამჟამად კვლავ აჯანყებულების ხელშია ქალაქი ეამბა, დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული ცენტრი სტენლივილის აღმოსავლეთით.

ბელგიის ჰრესაში

დღევანდელი გაზეთების მნიშვნელოვან ყურადღებას იპყრობს ინგლისის მთავრობის აღიარება, რომ განზრახული აქვს „წინასწარი“ მოლაპარაკება გამართოს სამხრეთ როდეზიის რასისტულ სმიტის რეჟიმთან, რისთვისაც ლონდონში სოსსბერიდან ჩავა დელეგაცია. ინგლისის გაზეთები აღნიშნავენ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების „რეალურ შესაძლებლობას“, რაც, უნდა ითქვას, შეესაბამება როდეზიის ფრონტის პარტიის თავმჯდომარის ნოქსის ამასწინანდელ განცხადებას. „დელი მელი“ ხაზს უსვამს, რომ ინგლისის მთავრობამ, ემზადება რა მოლაპარაკებისათვის, შეასუფთა დიპლომატიური ზემოქმედება სმიტის რეჟიმზე და, კერძოდ, ფართო დიპლომატიური პრივილეგიები მიანიჭა მას წარმომადგენლებს ლონდონში მათი ყოფნის დროს. პრესის მთელი რიგი ორგანოების აზრით, მოლაპარაკება შეიძლება დამთავრდეს შეთანხმებით, რომლის შედეგად სმიტის რეჟიმი განიმტკიცებს მდგომარეობას.

გაზეთები კვლავ თვალსაჩინო ადგილს აქცევენ ცნობებს ვიეტნამის ომის შესახებ, ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ გამოსვლების შესახებ. ამერიკის „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი რესტონი თავის მიმოხილვაში წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და პირადად პრეზიდენტ ჯონსონის პრესტიჟი მკვეთრად დაეცა სახელმწიფოში სავიეტნამო პოლიტიკასთან დაკავშირებით. აღნიშნავს რა, რომ უნივერსიტეტთა მასწავლებლები და სტუდენტები მკაცრად აკრიტიკებენ მთავრობის პოლიტიკას, რესტონი აცხადებს: ის გარემოება, რომ ჯონსონმა დაკარგა „ყველაზე მოაზროვნე ადამიანთა მხარდაჭერა“, „პოლიტიკურ პრობლემად“ გადაიქცა მთავრობისათვის. სამაგიეროდ ბულვარული „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი“ კვლავ მოითხოვს „ომს საბოლოო გამარჯვებამდე“. დღეს გაზეთი თავგამოდებით უჭერს მხარს გოლდუოტერის მოწოდებას, რომ გადაყარონ სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე სენატორი ფულბრაიტი იმის გამო, რომ აკრიტიკებს მთავრობის პოლიტიკას ვიეტნამის მიმართ.

აშუქებენ რა საერთო ბაზრის წევრი ქვეყნების ბრიუსელის მოლაპარაკებას, გაზეთები აღნიშნავენ მის უკიდურეს გაჯიანებას. „სოფლის მეურნეობის პროდუქციის საკითხის მოწესრიგება ადგილიდან არ დაძრულა“, — წერს ფრანგული „ვენ კატრ-ერ“. „ბრიუსელში ავლავ წრეს უვლიან“, —ბნს აძლევს მას „ორორი“. „კომბა“ ხაზს უსვამს საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის მკვეთრ შეჯახებებს ამ მოლაპარაკების მსვლელობაში. „ლუმანიტე“ ეხება საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნებში მემარცხენე ძალების ყოფილი კანდიდატის ფრანსუა მიტერანის მიერ „სათადარიგო კაბინეტის“ შექმნას და აღნიშნავს, რომ კაბინეტის შედგენას არა აქვს წარმატების რაიმე შანსი, რადგან მას „საერთო არა აქვს რა ყველა მემარცხენე პარტიის კავშირთან“.

უჭკოეთის ჰრ

შემოქმედებითი ძიების გზით

„ბორის გოდუნოვის“ ახალი დადგმა თბილისის სცენაზე

არის სპექტაკლები, რომლებსაც წარმატება აქვთ (ან, პირიქით, წარმატება არა აქვთ), როცა მარტო ამ ერთი სიტყვით შეიძლება საკმაოდ სწორად განსაზღვრო მათი ხარისხი და მნიშვნელობა. მაგრამ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის მიერ „ბორის გოდუნოვის“ დადგმა ამ სიტყვით რომ დაგვეხასიათებინა, მეტად სუსტ, ნაკლებად მეტყველ შეფასებას მივცემდით მას. საქმე ის არის, რომ ეს ნამუშევარი უთუოდ საეტაპო კოლექტივის საქმიანობაში. ამასთან ერთად იგი ეკუთვნის საერთოდ უკანასკნელ წლებში საბჭოთა საოპერო სცენის ყველაზე საინტერესო, პრინციპულად დიდმნშვნელოვან მიღწევებს. ეს ნოვატორული და გაბედული ნამუშევარია, რომელიც ომს უცხადებს რუტინასა, უფერულობას, ბოსტყეფნობასა და ცივ „სამუზეუმო“ ხასიათს. რასაც ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირად ვხედავთ ჩვენს მუსიკალურ თეატრებში და რაც, სამწუხაროდ, ოპერის მოსმენის ხალისს უკარგავს საზოგადოებას...

სპექტაკლის თავადური ღირსებაა კლასიკური ნაწარმოებისადმი სიყვარულით, ფრთხილად მიდგომის შეხამება მისი განხორციელების სიახლესთან და შემოქმედებითის აქტივობასთან, რაკუნსის თანამედროვეობასთან. თეატრმა შეძლო ცოცხალი, დღევანდელი თვალით წაეკითხა მუსორგსკის შედევრი და ამის მეოხებით გადაგვიშალა ამ გენიალური სახალხო მუსიკალური დრამის უჭკნობი ძალა, მისი ხასიათების განსაცვიფრებელი რეალიზმი, თვითმპყრობელურ ხელისუფლებასა და ჩაგრულ ხალხს შორის მარადიული კონფლიქტის სიმძაფრე. ესოდენ რთული მხატვრული ამოცანის განხორციელებამ, ბუნებრივია, დამდგმელებისა და შემსრულებლებისაგან მოითხოვა დაძაბული შრომა, მხურვალე რწმენა და შეხმატკბილებული, ერთობლივი ინიციატივა. შედეგები დამაჯერებლად მოწმობენ, რომ რეჟისორმა ლ. მიხაილოვმა, სტუმარმა მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის თეატრიდან, თეატრის დასთან ნამდვილ ურთიერთგაგებასა და კონტაქტს მიაღწია. სწორედ ასეთ კონტაქტს მოაქვს დიდი წარმატება თეატრალურ ხელოვნებაში!

მოფიქრებულობა და სიმწყობრე ახასიათებს სპექტაკლის საერთო ჩანაფიქრს. ეს კონცეფციური სპექტაკლია, ესე იგი მას დიდი სოციალური მასშტაბის მკაფიოდ გამოხატული იდეა აქვს, დამთავრებულად მთლიანია თავისი სტილით. ამავე დროს იგი სინთეზურია, ესე იგი შეიცავს შემადგენელი კომპონენტების: მუსიკის, სცენური მოქმედების, ფერწერული გაფორმების ორგანული ერთიანობას. გამოცდილი, ნიჭიერი რეჟისორის ხელი იგრძნობა მასობრივი საგუნდო მიზანსცენ ებ ის მძლავრ, სკულპტურულ გაშლაშიც, ცალკეული პერსონაჟების ნახატის პლასტიკურობაშიც, სპექტაკლის შინაგანი პულსის შეუსუსტებელ დინამიკაშიც. მაგრამ რეჟისურა როდი ახშობს მომღერალ-მსახიობთა ინდივიდუალობას, პირიქით, ეხმარება მათ რაც შეიძლება სრულად გადაგვიშალონ თავიანთი ნიჭი.

მე ვიტყოდი, რომ სპექტაკლის სპექტაკლის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომელიც განუყოფლად შედის მის წყობაში და ზოგჯერ კიდეც წარმართავს დადგმის ჩანაფიქრს, მხატვარ ნ. ზოლოტარიოვის შესანიშნავი დეკორაციებია. ისინი განსაკუთრებით შინაარსიანი, დრამატულად ექსპრესიულია, ზუსტია ეროვნულ-ისტორიული კოლორიტით. დეკორაციების ლეიტმოტივია თემა ბედკრული და მშიერი, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე და ძლიერი, ჩაგრული, მაგრამ ქედმოუხრელი რუსი ხალხისა, რომელიც მზად არის მძაფრი სტიქიური პროტესტისათვის. თვითეული სურათი — მკაცრი, მოღუშული პროლოგიდან ამბოხების დაფიონით ანთებულ უკანასკნელ სურათამდე — მოვლენათა დასასრულისაკენ გამიზნული ერთიანი ჯაჭვის რგოლებია. და თვითეულ სურათს აქვს თავისი განსაკუთრებული ატმოსფერო, ტონალობა, ფერადების განსაკუთრებული გამა და განათება.

ნ. ზოლოტარიოვის ფერწერითი გაფორმების კომპოზიცია არაჩვეულებრივია. ნაცვლად დახშული, ნატურალისტურად კონკრეტული სივრცისა და ინტერიერისა, როგორსაც მიჩვეული ვართ ვხედავდეთ ოპერაში, — აქ არის გაშლილი სცენა, ლაკონიური და სიმბოლურად განზოგადებული პანოები, რომელთა მიღმა ისახება რუსეთის თვალუწვდენი სივრცეები, თავისუფლად დაწერილი პეიზაჟი არქიტექტურის დეტალებით, ჰაერი, სივრცე; მოქმედება ვითარდება აწეულ მოედანზე, რომელსაც რეჟისორი ოსტატურად იყენებს მიზანსცენების ეფექტიანად, რელიეფურად დაგეგმარებისათვის.

აი ჩვენს წინაშეა მოხუცი მემატიანე ბერმონაზონის სენაკი. გეჩვენება, რომ სენაკის თავზე მძაფრი ქარი უბერავს და ზარვინი საგანგაშო რეკვა ისმის — ხომ აქედან მიაღწევს შთამომავლებამდე ამბავი მეფე ბორისის დანაშაულის შესახებ, აქედან გამოვა გრიშკა ოტრეპიევი — ცრუდიმიტრი, რომელიც რუსეთში სისხლისმღვრელ შფოთს ატეხს. აი მდიდრული პოლონური ცხეიდარბაზი, რომლის რაინდულ-გალანტური ზნეჩვეულებანი აღბეჭდილია მსუბუქ, აჟურულ დეკორაციებში. აი მეფის სასახლის ოთახები, სადაც წმიდანის ვეებერთელა თვალი, ფრესკიდან პირდაპირ რომ იცქირება, თითქოს ემუქრება ბორისს გარდუვალი შურისგებიო და აღუძრავს სინდისის მტანჯველ ქენჯნას.

ახალგაზრდა დირიჟორმა ჯ. კახიძემ დაგვანახვა, რომ იგი ნიჭიერი და დაკვირვებული მუსიკოსია, უნარი შესწევს ცოცხალი, გულშიჩამწვდომი და ადამიანური საღებავებისათვის მიუგნია ამ უაღრესად ხალხური, რუული ნიადაგიდან მომდინარე სახის გადმოსაცემად. დასამახსოვრებელი არიან აგრეთვე პიმენი — ნ. ნადიბაიძე, შჩელკალოვი — ი. კოკოლია, კ. მაღრაძის მიერ საინტერესოდ დახატული ვერაგი და გულჩახვეული თავადი შუისკი, ფუნდუკის ბაქნილი დიასახლისი — კ. ლაშკარავა. ბევრი მოხდენილი, შთამბეჭდავი შტრიხია ი. ქუთათელაძის მიერ შექმნილ მოხეტიალე ბერის სახეში, მაგრამ ამ მსახიობმა ბეჯითად უნდა იმუშაოს ბგერაზე, სუნთქვასა და დიქციაზე, ხოლო ბ. კრავეიშვილს—რანგონის უნდა ვუსურვოთ უფრო ნაკლებად მკვეთრი დაბმული ორგორც ვოკალური, ისე სცენური თვალსაზრისით: მისი გმირი ხომ ცბიერი და შემპარავია, იგი მიჩვეულია ფარული, დიპლომატიური გზებით მოქმედებდეს...

ახალი ამბები • ცნობები



უყოველდღიურად ჩვენი რესპუბლიკის ათეულ ათასობით ოჯახში ინთება ტელევიზორის ცისფერი ეკრანი. თბილისის ტელესტუდიის კოლექტივი მონდომებით მუშაობს ახალი საინტერესო გადაცემების მოსამზადებლად. ეს სურათი გუშინ გადაიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ს. კილაძემ თბილისის ტელეცენტრში. მთავწმინდის პლატოზე. (მარცხნიდან მარჯვნივ) ტელეოპერატორები კ. აბულაძე, ჯ. მდივანი, რეჟისორის ასისტენტი მ. გოგავა, რეჟისორი დ. ცხაკაია და დიქტორი დ. კინწურაშვილი ამზადებენ მორიგ გადაცემას.

„ზღვა“ იპოვეს

თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბანში ქართველმა გეოლოგებმა იპოვეს „ზღვა“, რომელიც დუღს... ლითონის ბურღვის დახმარებით, რომელიც 3.600 მეტრ სიღრმეზე შეეჭრა დედამიწაში, ამოხეთქა 103 გრადუსი ტემპერატურის წყლის შადრევანმა. თუმცა მიწის ქვეშა „ზღვის“ მარაგი ჯერ დადგენილი არ არის, მისი დანიშულება უკვე ცნობილია, ცხელ წყაროებს გამოიყენებენ ქალაქის თბოფიკაციისათვის.

აი მეორე სიურპრიზიც — აღმოჩენილი აირიანი პორიზონტები. ცისფერი სობობის მარაგის გამოსარკვევად დაიწყო 4.600 მეტრი ჰაბურღილის ბურღვა. ეს საქართველოში ყველაზე ღრმა ჰაბურღილი იქნება. (საქდესი).

სპელეოლოგთა სესია

ჟუთაისი. (საკ. კორ.). აქ ორ დღეს გრძელდებოდა საქართველოს სპელეოლოგთა სამეცნიერო სესია, რომელიც დასავლეთ საქართველოს კარსტული ოლქის შესწავლის პერსპექტივებს მიეძღვნა. იგი მოაწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიურმა კომისიამ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტთან, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ქუთაისის ფილიალთან და ტურისტულ კლუბ „ოქროს ჩარდახთან“ ერთად.

სესიაზე მოისმინეს მოხსენებები უახლესი სპელეოლოგიური გამოკვლევებისა და ქართველ სპელეოლოგთა ამოცანების შესახებ.

ქართული პიესა ინგლისში

საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ლონდონში მიეგზავრება ლენინგრადის გორკის სახელობის დრამატული აკადემიური დიდი თეატრი.

ლენინგრადელებს ფესტივალზე მიაქვთ სამი სპექტაკლი: თ. დოსტოევსკის „იდიოტი“, მ. გორკის „ბარბაროსები“ და ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ლენინგრადის დიდი თეატრის მთავარ რეჟისორს. ლენინური პრემიის ლაურეატს ბორის ტოსტონოგოვს. აი რა გვიამბო მან:

„ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის ლირიკული კომედიის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ შინაარსი უაღრესად პოეტური და ამასთანავე მკვეთრი და კონკრეტული. იგი გვიამბობს ჭკვიან და კეთილ ადამიანებზე, მათს მეგობრობაზე, საბჭოთა ჰუმანიზმზე.

სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა ი. სუმბასოვაშვილმა. საქართველოს წარმატაცი, ნათელი ბუნება მხატვარმა ლაკონიურ, ზომიერ და პირობითს ფერებში გადმოსცა. მთლიანი მხატვრული აღნაგობა ხელს უწყობს ქართული ეროვნული სულისკვეთების გადმოცემას.

სპექტაკლის მუსიკა რევაზ ლაღიძისაა. მე ვფიქრობ ზედმეტია ამ შესანიშნავი კომპოზიტორის მუსიკის დახასიათება. ვიტყვი მოკლედ — მისი მუსიკა სპექტაკლის ერთ-ერთი საუკეთესო კომპონენტია.

ლონდონში 9 მაისს ვიქნებით. გამოვალთ ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო თეატრის „ოლდვიჩის“ შენობაში. ჩვენი სპექტაკლები 21 მაისამდე გასტანს.

სპექტაკლში მონაწილეობენ ჩვენი თეატრის საუკეთესო მსახიობები. ზურიკოს როლს შეასრულებს ახალგაზრდა მსახიობი ვლადიმერ ტოტოსოვი, ბებიასა და ილიკოს — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ლიუდმილა ვოლინსკაია და სერგეი იურსკი, ხოლო ილარიონს — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ექვთიმე კოპელიანი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ თავიისი აქტუალობით, პოეტურობითა და იუმორით ინგლისელ მაყურებელსაც მოხიბლავს.

ყველაზე დაძაბული...

მეთორმეტე პარტიაში ბ. სპასკიმ თავისებური დაცვა აირჩია. რა ქვია მას? ეს არავინ იცის, ამბობენ, რომ იგი სპასკის შეასწავლა ჩეხოსლოვაკიელმა ოსტატმა უიტელკიმ.

მსოფლიოს ჩემპიონმა პოზიციური უპირატესობა მიიღო. მაგრამ აქტიური ოპერაციები არ დაუწყია. ამის გაკეთება მან მეტოქეს შესთავაზა. პეტროსიანის 27 სვლის შემდეგ სპასკიმ მიაღწია იმას, რაც უნდოდა — დახლართულ პოზიციას ორმხრივი შანსებით. ძნელი იყო სთამქმელად თუ ვის მხარეზე იყო უპირატესობა. მსოფლიოს ჩემპიონი 30 წუთი ფიქრობდა თავის 29-ე სვლაზე და ენერგიული გაგრძელება მონახა. მან ამ მატჩში უკვე მესამედ შეწირა ხარისხი. პოზიცია რამდენადმე გავდა მეათე პარტიას, სადაც სპასკი ყველა ფიგურის დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა.

იმ მომენტში, როდესაც ყველა აღფრთოვანებული იყო მსოფლიოს ჩემპიონის თამაშით, პეტროსიანმა მცირე ცაიტნოტის გამო, ეტყობა, სვლები გადაანაცვლა და 32-ე სვლაზე აშკარა მოგება გაუშვა ხელიდან. 33-ე სვლაზე იგი ყაიმს დასჯერდა.

დიახ, გაუმართლა დღეს სპასკის. მეტოქეებმა საიუბილეო მეათე ყაიმი გაიკეთეს, მაგრამ ასეთი ყაიმების წინააღმდეგ ვერა ფერს იტყვი.

აი როგორ წარიმართა ეს პარტია:

1. d:f3 g6 2. c4 ₰g7 3. d4 d6 4. d:c3 d:d7 5. e4 e6 6. ₰e2 b6 7. 0—0 ₰b7 8. ₰e3 d:e7 9. ₯c2 h6 10. ₯ad1 0—0 11. d5 e5 12. ₯c1 d:f3 13. g:f3 f5 14. e:f d:f5 15. ₰d3 ₰e8 16. d:g2 d:f6 17. d:e4 d:h5 18. ₰d2 ₰d7 19. d:f1 d:e7 20. d:h4 ₰h3 21. ₯g1 ₰d7 22. ₰e3 ₯e8 23. ₯de1 ₯f7 24. ₯c2 d:f8 25. d:d2 d:f5 26. d:f5 g:f 27. g4 e4 28. g:h f4 29. ₯:g7 ₯:g7 30. ₯g1 ₯e5 31. d:f3 e:d 32. d:e5 d:c 33. ₰d4 d:e 34. ₰:e5+ d:f8 35. ₯g7+ d:h8 36. ₯f7+ d:g8 37. ₯g7+ d:h8 38. ₯g6+ d:h7 39. ₯g7+

სალო ფლორი,
გროსმაისტერი.

ოქროს მაძიებლები ლუქსემბურგში

ჩვენი ქვეყნის 12 უძლიერესი ძიუდოისტი რამდენიმე დღეა ლუქსემბურგში იმყოფება და ელის ევროპის ჩემპიონატის სტარტს, რომელიც დღეს დაიწყება. საბჭოთა მოჭიდაველებთან ერთად აქ არიან ოცი ქვეყნის წარმომადგენლები.

სსრ კავშირის ნაკრები კონტინენტის სამგზის ჩემპიონია. შარშან მადრიდში ჩვენმა მოჭიდაველებმა 7 ოქროს მედალი მოიპოვეს. ევროპის გასული წლის ჩემპიონებიდან სსრ კავშირის გუნდში არიან ო. სტეპანოვი, ა. ქიბროწაშვილი და ა. კიკნაძე.

წრე გამარჯვებული

ჟუთაისი. 6 მაისი. (საქდესი). აქ დამთავრდა რესპუბლიკის პირადი პირველობა რუსულ შაშში. შეჯიბრებაში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა: პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ქუთაისელმა ი. მოძღვრიშვილმა და თბილისელმა ოსტატმა თ. ბარამიძემ. მესამე ადგილზე გამოვიდა ბათუმელი ოსტატობის კანდიდატი ა. ტოჩენოვი.

ა. გ. ბურდული

გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წევრი, სოფლის მეურნეობის გაერთიანებული უფროსი ალექსი გიორგის-ძე ბურდული.

ა. ბურდული დაიბადა 1924 წელს თეთრი წყაროს რაიონის სოფელ დრეში. 1942 წელს ამთავრებს სამაღალო სკოლას და მუშაობას იწყებს ამავე სოფლის გორკის სახელობის კოლმეურნეობაში მოანგარიშის თანამდებობაზე. 1947 წელს ჩაირიცხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1952 წელს.

1952 წლიდან 1956 წლამდე მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ჯერ სამდივნოს გამგის თანაშემწედ, ხოლო შემდეგ საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების უფროს ინსტრუქტორად.

1957 წლიდან ა. ბურდული მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში სპეციალობის მიხედვით სოფლის მეურნეობის დაგეგმვის დარგში, ხოლო 1959 წელს დაწინაურებულ იქნა სოფლის მეურნეობის განყოფილებაში ბალანსებისა და დამზადების ეკონომიკურ განყოფილების უფროსად.

1962 წლის მარტიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ა. ბურდული ხელმძღვანელობდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებს.

ა. ბურდული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1946 წლიდან. მიღებული ჰქონდა „საპატიო ნიშნის ორდენი“, მედალი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

თავმდაბალი, სპეტაკი და გულისხმიერი ამხანაგის ალექსი გიორგისძე ბურდულის ხსოვნა დიდხანს დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

ამხანაგები ჯგუფი.

ბაზაფსკელის ფუალდიდობა

ათოგზით დასახლებული პუნქტი დაიტბორა, რამდენიმე საწარმომ დროებით შეწყვიტა მუშაობა წყალდიდობის შედეგად, რომელიც ყველაზე დიდი წყალდიდობაა ნოვგოროდის ოლქში უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე.

— ადამიანთა მსხვერპლი არ არის, — ამ ფრაზით დაიწყო ინტერვიუ საკდესის კორესპონდენტთან წყალდიდობის საოლქო კომისიის თავმჯდომარემ ა. მ. კუკუშკინმა. — განხორციელებულია სასწრაფო ღონისძიებანი დატბორილი რაიონებიდან მოსახლეობის ევაკუაციისათვის, მაგრამ მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. დღეისათვის ოლქის ყველაზე დიდი მდინარის — ვოლხოვის წყლის დონემ კიდევ ექვსი სანტიმეტრით მოიმატა და შვიდნახევარ მეტრს მიაღწია. სინოპტიკოსები წინასწარმეტყველებენ წყლის შემდგომ მომატებას.

ადიდებულმა წყლებმა, რომლებმაც ვრცელი ტერიტორია დატბორეს, ასობით ოჯახი აიძულეს დროებით შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი. აქაური ადგილებისათვის უჩვეულო წყალდიდობა გამოწვეულია იმით, რომ ზამთარში უხვად თოვდა, ხოლო გაზაფხულზე ერთბაშად დათბა.

წყალმა დაფარა ქალაქი სტარაია რუსა. მუშათა დაბებში პროლეტარსა და კრასნოფარფორნში ქუჩაში მოძრაობის ეთადერთი საშუალებაა ნავები.

ადიდებულმა ვოლხოვმა დატბორა ნოვგოროდის სანაპიროს სახლების პირველი სართულები, საიდანაც დროულად გახიზნეს მოსახლეობა. ქალაქის ცენტრში გზატკეცილის ხიდთან სახელდახელოდ ააგეს რკინაბეტონის ფილებით გამაგრებული ჯიბრი. იგი არ უშვებს წყალს ქალაქის სავაჭრო მხარისაკენ, სადაც თავმოყრილია ძველი რუსული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლები.

წყალდიდობას ქალაქისათვის სერიოზული ზარალი არ მიუყენებია იმიტომ, რომ წყალდიდობისათვის მზადება ჯერ კიდევ ზამთარში დაიწყეს. სოფლები, რომლებიც ახლა ბლოკირებულია ადიდებული წყლით, წინასწარ მოამარაგეს პროდუქტებით, შირეტყვის საკვებით. მდინარეებზე ხიდები გამაგრებულია.

ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდლობამ შექმნა საშველი ჯგუფი, რომლის განკარგულებაშია ვერტმფრინავები, მანქანა-ამფიბიები, პონტონის ნავები.

ხტიკიასთან ბრძოლა გრძელდება.

ჟ. ნოვგოროდი, 5 მაისი.

არქეოლოგები მოგზაურობენ საუკუნეებში

ამას წინათ ცხაკაიას ესტუმრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიცია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის გ. გრიგოლიას ხელმძღვანელობით. ექსპედიციის მიზანია მოიაროს ცხაკაიას და გეგეჭკორის რაიონები, აღრიცხოს და რუკაზე გადაიტანოს დღემდე ცნობილი თუ ახლად აღმოჩენილი ყველა არქეოლოგიური ძეგლი და აწარმოოს მცირე მასშტაბის გათხრები განსაკუთრებით საყურადღებო პუნქტებში, როგორიც არის საკირე გამოქვაბული (ქ. ცხაკაიაში). ნოქალაქევის ძველი ციხექალაქი, ისულას სამაროვანი და სხვ.

ქ. ცხაკაიაში ე. წ. საკირეს ქედზე მოკლეულია უძველესი ადამიანის სადგომი, რომლის ასაკი 70-50 ათასი წლით განსაზღვრება. ხორშში, პირველ მაისში, პატარა ზანასა და სხვა სოფლებში ათამდე სხვადასხვა არქეოლოგიურ ნაპოვნს მიაკვლიეს.

ექსპედიცია ერთ თვეს მოუნდებოდა ცხაკაიას რაიონში და შემდეგ გადაინაცვლებს გეგეჭკორის რაიონში.

ექსპედიციის ხელმძღვანელმა გ. გრიგოლიამ განაცხადა:

— ჩვენი ექსპედიციის მუშაობის შედეგები საფუძველად დაედება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის იმ. ფართო გათხრით-არქეოლოგიურ სამუშაოებს, რაც მოეწყობა ცხაკაიას და გეგეჭკორის რაიონებში მომავალ წელს.

ვ. წირლავა

ჩვენი ინტერვიუ

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

სპორტული ტანვარჯიშის თაყვანისმცემლებს წილს საინტერესო სეზონი მოელით. უმაღლესი დონის ასპარეზობათა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მსოფლიოს პირველობის გათამაშება, რომელიც სექტემბერში გაიმართება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ დორტმუნდში.

უძლიერესთა სტარტამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო რჩება, მაგრამ ჩემპიონის ტიტულის მაძიებლებმა უკვე დაიწყეს მზადება, რაც გამოიხატება სხვადასხვა ტურნირებით, საერთაშორისო შეხვედრებით. ერთ-ერთი ასეთი პაექრობა შედგება დღეს და ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარეს შ. ყარყარაშვილს. აი რა გვიამბო მან:

— ტანმოვარჯიშე ქალთა თბილისის ტურნირი ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენაა. ტანვარჯიშის მოყვარულები სპორტის სასახლეში ნახავენ უძლიერესთა ოსტატობას, სილამაზეს, გრაციას, ჩვენი სტუმრები არიან უნგრეთის, გდრ-ისა და პოლონეთის წარმომადგენლები. მათთან ერთად ტანვარჯიშულ იარაღებზე ვიხილავთ საბჭოთა ნაკრების წევრებს. შეჯიბრება მოეწყობა ახალი სავალდებულო პროგრამით.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მომავალ ჩემპიონატზე მთავარი მეტოქეები იქნებიან სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და იაპონიის ტანმოვარჯიშეები, რომლებსაც კარგი ტრადიცია აქვთ. თბილისის ტურნირი ითვალისწინებს შეჯიბრებას მრავალჭიდში, ცალკეულ იარაღებზე კი პირველობას გაითამაშებენ ერეკვანში 11 და 12 მაისს.

საბჭოთა ნაკრებში შედიან ლ. ტინინა, ასტახოვა, კუჩინსკაია, პეტრიკი, ჩანეულაშვილი და სხვ. სტუმართა რიგებში არიან — ევროპის ჩემპიონი მარაძე (გდრ). უნივერსიადის ბრონზეტერი ჩემპიონი დუდა და ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის ვერცხლის პრიზიორი მაკარი (უნგრეთი), პოლონელი ვილჩეკი და სხვ.

ტურნირის საუკეთესო ტანმოვარჯიშეებისათვის დაწესებულია პრიზები.

• • •

სურათზე: ტანმოვარჯიშე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): კ. მაკრაი და ა. დუდა (უნგრეთი), უ. შტრაკე (გდრ), ნ. კუჩინსკაია და ა. ჯანუყაშვილი (სსრკ), ბ. ეუსტახიე (პოლონეთი).

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სპორტული ქრონიკა

□ **გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის ქ. კარლსრუეში დაიწყო მსოფლიოს პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. სტარტზე წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები **ბერიაშვილი** და **ცხოვრებოვი.** პირველმა ქულებით დაამარცხა **როსტა** (გფრ), მეორემ — შვედი **ასტენსი.**

□ **ცნობილი** გახდა, რომ მსოფლიო პირველობის ფინალში იტალიის საკლუბო გუნდების ბრაზილიელი ფეხბურთელები **ამარილდო** და **ჟაირ დე კოსტა** ითამაშებენ ბრაზილიის ნაკრებში.

ტელევიზია

7 მაისი

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 17.20 — „ეთერი 1970 წელს“ — რადიოს და ტელევიზიის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.50 — კინონარკვევი, 18.00 — გადაცემა — „რადიოს დღე“, 18.20 — რეპორტაჟი ახალი საბაგირო გზიდან, 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — „საოლმეურნეო შრომის ორგანიზატორები“ — იულია თაგაძე, 19.30 — გადაცემა — „დმანისის განძი“, 20.00 — „ოქტავა“ — საესტრადო მუსიკალური მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — სატელევიზიო ჟურნალი „ირმის ნახტომი“, 21.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ცეცხლი ჩვენკენ“ (მეორე სერია).

მეცხრე არხზე — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა — 15 საათიდან.

8 მაისი

10.00 — ლექცია დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის მხაზველობით გეომეტრიაში. 11.40 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“, 13 საათიდან 13 საათსა და 55 წუთამდე შესვენება, 13.55 — გადაცემათა პროგრამა, 14.00 — „შედეგი“ (გადმოცემა გდრ-დან), 14.45 — კინონარკვევი, 15.05 — გადაცემა „სამამულო ომი მხატვრულ კინემატოგრაფიაში“, 15.45 — კინონარკვევი, 16.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „არარატი“ ერევანი — „დინამო“ თბილისი (გადმოცემა ერევნიდან), 17.45 — გადაცემა „ჩეხოსლოვაკიის ეროვნული დღესასწაული“, 18.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ მინსკი — „დინამო“ კიევი (გადმოცემა მინსკიდან), 18.45 — მუსიკალური კოოსკი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.15 — გადაცემა „საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 20.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ცეცხლი ჩვენკენ (მესამე სერია), 21.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — საესტრადო კონცერტი.

თეატრები

7 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ ჟუანი (მე-2 აბონ. მე-5 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სიბრძნე სიცრუისა, რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — დაკარგული ბარათი, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ოქრის საწმისი, გრიბოედოვის სახელობის — კეისარი და კლეოპატრა (1-ლი აბონ. მე-7 წარმოდგენა), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სტუდენტები, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ბორის ძნელაძე (№ 38 აბონ. დილ. 10 ს.), ფილარმონიის საზაფხულო — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი (დასაწყ. საღ. 8 ს. და 30 წ.).

კინო

7 მაისი

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, საქართველო (წითელი დარბაზი), კოლხიდა, გაზაფხული, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — ასპიტი, ამირანი, საქართველო (მწვანე დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), სპარტაკი, ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **კამკამა ტბორები,** ისანი — **26 ბაქოელი კომისარი,** თბილისი, კოსმოსი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, 26 კომისრის სახელობისა (პირველი დარბაზი), ბათუმი — **ჭინჭერ კოფის ღიღალი.** კომკავშირელი, კოლმეურნე, თანამგზავრი — **მაისის თვე.** ნაადელი — **არშინ მალ-ალან,** ოფიცერთა სახლი — **რეპორტიორის შვებულება,** გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა კულტურის სახლი — **ოცდაცამეტი,** ისანი (საზაფხულო) — **ჰერაკლეს საქმენი საგმირონი,** ვაკის პარკი — **შუადამის ამბორი,** 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — **ავარა,** პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **მთიელი შურისმაძიებელნი,** ციოლოვის სახელობის პარკი — **როკო და მისი ძმები,** ეკრანი — **ძველი ხათავგადასავლო ფილმების ჩვენება.**

ჩაბ ვრცელოთ, ჩაბ ეოვისეირთ

ქომუნისტი | **თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს — 9-98-03, 9-03-09 ბ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, ხაბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, უცხოეთის — 8-15-68, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96.**

ჩვენი ბისაბარი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЮ-04942

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.